ეროვნული
ბიბლიოთეკა


# ახალგაზრდა ივერიელი

1921

8 ივნისი- შაბათი 1991

№ 66 (11699)

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

ფასი 10 კაპ.


## საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის, ბატონ ზვიად გამსახურდიას ფიცი, წარმოთქმული ღვთისა და ერის წინაშე



ძვირფასო მეგობრებო,

ქართველმა ხალხმა, საქართველოს მოსახლეობამ ღირსმყო დავიკავო ესოდენ მაღალი თანამდებობა პრეზიდენტისა, რაც მავალებს საჯაროდ წარმოვთქვა ფიცი:

**ვფიცავ და საზეიმოდ ვაცხადებ ღვთისა და ერის წინაშე, რომ ერთგულად განვახორციელებ საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის მოვალეობას;**

**ვილვაწებ ჩემი ქვეყნის აღორძინებისა და გაძლიერებისათვის;**

**დავიცავ მის დამოუკიდებლობასა და ტერიტორიულ მთლიანობას;**

**განუხრელად განვახორციელებ საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციასა და კანონებს, დავიცავ ადამიანის უფლებებს.**

**ღმერთი იყოს ჩემი შემწე ყოველივე ამაში!**



ალექსანდრე კოტორაშვილისა და სპარტაკ ჯანიაშვილის ფოტო

გუშინ, 7 ივნისს გაიმართა საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს სესიის მორიგი სხდომა. საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა არჩილ ჭირაქაძემ დეპუტატებს გააცნო საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნების ოფიციალური შედეგები: საქართველოს რესპუბლიკის კანონის 25—ე მუხლის თანახმად, საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნები ჩატარებულად იქნა ცნობილი; საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტად არჩეულია ბატონი ზვიად გამსახურდია. დეპუტატებმა მიიღეს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება „საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის, ბატონ ზვიად გამსახურდიას უფლებამოსილების ცნობის შესახებ“. შემდეგ, კანონის თანახმად, პრეზიდენტმა დადო ფიცი. სხდომის დასასრულს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტმა წარმოთქვა სიტყვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ...პრეზიდენტის ფიცი

# ...მძიმეა ჯვარი მისი, მძიმეა ჯვარი ჩვენი

1991 წლის 7 ივნისი.

საქართველოს უზენაესი საბჭოს საგანგებო სესია.

საქართველოს რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტი, ბატონი ზვიად გამსახურდია საპრეზიდენტო ფიცს დებს:

ვფიცავ... ერის პატრონობას ვფიცავ!..

საქართველოვ!

ისმინე ფიცი შენი პრეზიდენტის.

მძიმეა ჯვარი მისი...

მძიმეა ჯვარი ჩვენი...

...ამა წლის 26 მაისის პრეზიდენტის საერთო-სახალხო, დემოკრატიული, ალტერნატიული არჩევნების შემდეგ საქართველოს რესპუბლიკა, ქართველი საზოგადოება, თავისი განვითარების ახალ ფაზაში გადავიდა, სხვა დღე დაიწყო.

როგორი იქნება, რა თვალთახედვით უნდა წარმოვიდგინოთ დღევანდელი და მომავალი? განმტკიცების, წინსვლის თუ ადგილზე ტკეპნის, ჩვენივე თუ სხვათა, — შინაურ თუ გარე მტერთა მიზეზით გამოწვეული მიღწეულის დაკარგვის, რღვევის ეტაპი, ჭეშმარიტი დემოკრატიული პრინციპების გაღრმავების, დამკვიდრების თუ დიქტატურის, — მავანის მტკიცებით, — ერთმმართველობის რეჟიმი იძალებს? ეს და სხვა სიცოცხლის შემცველი პრობლემები — ჩვენი ხალხის გამორჩეულ ყურადღებას იმსახურებს.

ამ პროცესების წინასწარი განსაზღვრა არც ისე იოლია, მაგრამ პრაქტიკას, გამოცდილებას თუ გავითვალისწინებთ, — ახალი რეალურობა, — სიძნელეებით, მაგრამ მაინც ფეხს იკიდებს. მკვიდრდება ჩვენში, რაც შეუქცევად პროცესებთანაა წილნაყარი.

ყველაფერს ხელისუფლების მიერ გატარებული ეკონომიკური პოლიტიკა გადაძალავს თუ პოლიტიკური. სახელმწიფოებრივი სტრუქტურების გაძლიერება მოჰყვება მას? იქნებ ბევრ რამეს, მთავარს და გადამწყვეტს საპრეზიდენტო უფლებები განაპირობებენ?... იქნებ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში ჩაბმული პარტია-ორგანიზაციები, მათი ლიდერები პრეზიდენტთან, ხელისუფლებასთან საერთო ენას გამონახავენ და კოალიციური მთავრობა ჩამოყალიბდება?

ბევრი რამ ალბათ გუშინდელი, დღევანდელიც შემოგვრჩება, სხვა შინაარსს, ხარისხს შეიძენენ, ახალი იდეები გამოჩნდება და დამკვიდრდება? ჩვენი საზოგადოება უფრო შეკრული, მონოლითური, ერთიანი გახდება? ხელისუფლების გამაგრება მოჰყვება, უფრო ლიბერალურ-დემოკრატიული, ანდა რადიკალური შეიქმნება?

ყოველივე ამას ახლო მომავალი გვიჩვენებს.

ყოველ შემთხვევაში მეტი ფიქრი, შვიდჯერ მოზომვა და ერთხელ მოჭრა გვმართებს.

შესაძლოა სულაც ახალი ძალები, პარტიები, პიროვნებები, ლიდერები გამოჩნდნენ, რომლებიც ძლიერი სახელმწიფოებრივი, ახალი იდეებით წარმოსდგებიან, ან ახალი პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური ორიენტაცია გამოიჩენს თავს, სადაც ახლად მოვლენილი მოდერნიზატორები, — პროფესიონალიზმს, კომპეტენტურობას, რეფორმებს მიეძალებიან და ძლიერ სახელმწიფოებრივ რეჟიმს შექმნიან, დაამკვიდრებენ, რითაც ეროვნული, პოლიტიკური განვითარების თვისობრივად ახალ, აუცილებელ ეტაპს განსაზღვრავენ.

იქნებ ყველაფერი ნათქვამი მხოლოდ მიმიკრია, პრაგმატიზმის გამოვლინება, ძველის მუტაცია უფროა.

ზოგიერთ შემთხვევაში იქამდე გავკადნიერდით, რომ მავანი, იმის მაგივრად, რომ „ყვავილების მიწას“ გაჰყვიროდეს და ყიდდეს, — ლოზუნგებს გაჰყვირის, „იდეებს“ ყიდის და ლიდერობა, „პრეზიდენტობა“ სურს. ნამეტანი ხომ არ მოგვდის?

შეურიგებელი ოპოზიციის ზოგიერთ ასე თუ ისე პოზიტიურ მოსაზრებას მხოლოდ „პირობითად ვღებულობთ“, — ჩვენ ყველა „აბსურდით“ გავდივართ გამოცდას.

დღეს მავანნი გაიძახიან, გვიმტკიცებენ, — ყველაფერი ჩვენ ვიყავით, ვართ და ვიქნებითო. არა, ასე არ არის საქმე.

საზოგადოებამ იქნებ მაინც სცადოს ცდომილნი დღევანდელ სინამდვილეში გაარკვიოს. ფუძეს დაუბრუნოს, რამეთუ ჩვენ ყველა დროის შვილები ვართ და... ამიტომ ცოდვილნი, საპატიებელნი.

მაშინ. მაშინ ვენდოთ ახალ დროს, პირველ სახალხო პრეზიდენტს, ახალ ხელისუფლებას. თუ არ გაგვიმართლებენ... მაშინ ჩვენ ვიცით.

საპრეზიდენტო არჩევნების სადისკუსიო წინა პერიოდმა მწვავედ ჩაიარა. ხშირად პოლიტიკური თვალთმაქცობა, ინფანტილიზმი, მოუმწიფებლობა თვალშისაცემი იყო. მავანი კანდიდატი, ვთქვათ, ურიგო მასწავლებელი, ეკონომისტი, მეცნიერი, შინაგანი ორგანოების, — მილიციის თანამშრომელი არ უნდა იყოს, მაგრამ უმწიფარი საპრეზიდენტო კანდიდატი, სუსტი პოლიტიკური „მოთამაშე“ აღმოჩნდა. მათი „პოლიტიკური ბლეფი“ მოუმზადებელი, აშკარა იყო და „თამაშიც“ წმინდათ წააგეს.

დღეს და მომავალში, პოლიტიკური თამაშიდან მათი საბოლოო გასვლა — შერჩენილი დივიდენტების გადარჩენის შანსს დაუტოვებდა.

ამჯერად, უკვე ხალხის მიერ არჩეული პრეზიდენტის მმართველობის რეჟიმი, მისი ხელმძღვანელობის კონცეფცია, უნდა ვივარაუდოთ, ტრადიციული დარჩება, — სახელმწიფო პოლიტიკოსის წმინდა ეროვნული ინტერესების დამცველი და გამომხატველი: ტიპიური რადიკალური, ეროვნული გეოპოლიტიკის გამტარებელი, დაფიქრებული, ამავე დროს თვითგანწირვამდე უდრეკი, მებრძოლი პიროვნება, რომელიც გზას არ ასცდება.

მომავალში შესაძლოა მრავალპარტიული კოალიციური მთავრობის, ხელისუფლების, პარლამენტის ჩამოყალიბება. ახალ ძალთა — პარტია — ორგანიზაციების, მათ ლიდერთა უფრო ფართე სპექტრის წარმოდგენის, პოლიტიკური ძალების, გაერთიანების საკითხები დაისვას.

კაცის დაბადება — რიგ შემთხვევებთან, გარემოებებთანაა დაკავშირებული, — განგების საჩუქარია. სიკვდილი — კანონზომიერებაა. „დაბადება“ და „სიკვდილი“ — პირდაპირი თუ ფართე, გადატანითი გაგებით, გარდუვალი მოვლენაა.

ადამიანი — სოციალური და ადამიანი — ბიოლოგიური, — ერთი მთლიანი ცნებაა. იგი სოციალურ-პოლიტიკურ, ბუნების კანონებს ერთიანი საზომით ექვემდებარება. ამავე დროს ყველას თავისი „საზომი“ აქვს. ჩვენ ყველას ერთი მიზნები, ერთი ბედი, წარსული და დღევანდელი, მყობადი გვამოძრავებს. ცხოვრება — ცხოვრებაა, ადამიანი — ადამიანია. ჩვენი სუბიექტური საქციელი — მოქმედებაც აქედან იღებენ სათავეს.

პატრიოტობა...

პატრიოტობას გააჩნია; ვისთვის? რისთვის? რატომ?

საქართველოს ისტორიაში პატრიოტობა, — გადამწყვეტი იყო ყოველთვის; დღესაც ასეა. მომავალშიც ასე იქნება.

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ჯეფერსონი თავის დროზე ამბობდა:

„თავისუფალი სამშობლოს ფესვები მუდმივ უნდა ირწყვებოდეს... პატრიოტთა სისხლით...“ მავანმა ამ გამოთქმაში შესაძლოა „სისხლი“ იყნოსოს, ნურავინ ნუ გაიფიქრებს, ვითომდა დიდი ქვეყნის ყველაზე დიდი პატრიოტი ჯეფერსონი — სისხლის ღვრისაკენ მოუწოდებდა, არა. იგი თანამემამულეთ, ჭეშმარიტ პატრიოტებს — ელემენტალურ ჭეშმარიტებას შეახსენებდა.

ჩვენი ვალი, მოწოდებაა — დიდი პატრიოტებისა ვისმინოთ. საქართველოს დიდი პატრიოტები მარადის ჰყავდა. დღესაც ბევრი ჰყავს. მიმოვიხედოთ და დავინახავთ. ყური მივუგდოთ და შევისმინოთ.

დამთავრდა საპრეზიდენტო არჩევნების დამღლელი, დამქანცველი მარათონი, — ჩვენი საზოგადოების განვითარების, დემოკრატიის, თავისუფლების ათვისების, დამკვიდრების კიდევ ერთი ფაზა-ეტაპი.

ხალხისათვის, ამომრჩევლისათვის ეს პერიოდი დამატებითი ფსიქოლოგიური დატვირთვით იყო გაჯერებული. ჩვენ საგნობრივი, მრავალწლიურ ჭკუის სასწავლებელი გაკვეთილი გავიარეთ, სადაც მავანი ალტერნატიული კანდიდატის წარმოდგენა, — ჩვენი საზოგადოებისათვის იქნებ ნაკლებად საკადრისი, გაუმართლებელიც იყო.

გადადგმულია პირველი, დამაჯერებელი, — დემოკრატული ნაბიჯები.

პირველი...

პირველობა — საპრესტიჟო, სარისკო, ამავე დროს საპასუხისმგებლო აქტი, მოვალეობაა.

ხვალინდელი დღე რას გვიქადის? რას გვპირდება?..

პირველი სახალხო პრეზიდენტი.

პრეზიდენტის ფიცი.

მძიმეა ჯვარი მისი.

მძიმეა ჯვარი ჩვენი.

**ავთანდილ გველესიანი**











საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესიის სხდომაზე

ალექსანდრე კოტორაშვილისა და სპარტაკ ჯანიაშვილის ფოტოები.

# ქრონიკა, ინფორმაცია

## ეკოლოგიურ კონკურსში გამარჯვებულნი

5 ივნისს — გარემოს დაცვის მსოფლიო დღეს ცნობილი გახდა საქართველოს ჟურნალისტთა დამოუკიდებელ კავშირის (ეკოდემოგრაფიული სექციის), ეკოლოგიისა და ბუნებათ სარგებლობის სამინისტროს, სოფლის და სატყეო მეურნეობის სამინისტროს, ბუნების დაცვის საზოგადოების და გაზეთ „ახალგაზრდა ივერიელის“ მიერ ბუნების დაცვის დარგში მიღწეული კონკრეტული შედეგებისათვის გამოცხადებულ („ახალგაზრდა ივერიელი“, 18.01. 1990) კონკურსში გამარჯვებულთა სახელები.

ეკოლოგ-ექსპერტთა დასკვნებისა (გამოქვეყნდა გაზეთ „სოფლის ცხოვრებაში“, 26.02.1991) და საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინებით კონკურსის ჟიურიმ პირველი პრემია — 1000 მანეთის ოდენობით მიანიჭა ბატონ **იორამ ლუდუშაურს**, მხარეთმცოდნეს, ყაზბეგის რაიონის სოფელ სნოს მკვიდრს — მშობლიური მხარის ბუნების შესწავლის, გამდიდრება-გაჯანსაღებისა და მეურნეობის ტრადიციული დარგების აღორძინებისათვის.

ორი მეორე პრემია — 700-700 მანეთის ოდენობით მიენიჭათ: **ვლადიმერ კახიანს**, ზოოტექნიკოსს, ქალაქ სამტრედიის მკვიდრს — მშობლიურ ქალაქში ბაღნარის და სანერგის გაშენებისა და ენდემური და ეგზოტური მცენარეების გამრავლებისათვის;

**გიორგი კახნიაშვილს**, ქიმიკოსს, თბილისის მკვიდრს — მეღვინეობაში უნარჩენო ტექნოლოგიის დანერგვის საქმეში მიღწეული შედეგებისათვის.

ორი მესამე პრემია — 500-500 მანეთის ოდენობით წილად ხვდათ: **შოთა კუდავას**, ეკონომისტს, თბილისის მკვიდრს — დედაქალაქის კრწანისის ქუჩაზე ეზო-კარმიდამოს გამშვენიერება-კეთილმოწყობისათვის;

**იური ლუკაშვილს**, გეოლოგს, თბილისის მკვიდრს — საქართველოს მოსწავლე ახალგაზრდობის რესპუბლიკური სასახლის — ნორჩ მწვანეთა კავშირის მიერ განხორციელებული ეკოლოგიური ოპერაციების ხელმძღვანელობისათვის.

კონკურსის ორგანიზატორები თხოვენ გაზეთების, ჟურნალების, საქინფორმის, რადიოს და ტელევიზიის რედაქციებს შეძლებისდაგვარად წარმოაჩინონ კონკურსში გამარჯვებულთა ნაშრომ-ნაღვაწი, აგრეთვე, მწვანე გზა მისცენ ამ ცოტა ხნის წინათ ეკოლოგიურ პუბლიცისტური ნაწარმოებების კონკურსში გამარჯვებულ ავტორთა წერილებს.

**საქართველოს ჟურნალისტთა დამოუკიდებელი კავშირი — ეკოდემოგრაფიული სექცია.**

●

## შეიქმნა სტუდენტ-ისტორიკოსთა ლიგა

ამას წინათ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა საქართველოს ახალგაზრდა ისტორიკოსთა ასოციაციასთან არსებული სტუდენტ-ისტორიკოსთა ლიგის დამფუძნებელი კრება. კრებას დაესწრნენ რესპუბლიკის სხვადასხვა საუნივერსიტეტო ქალაქების წარმომადგენლები.

კრებამ დაამტკიცა ლიგის სამუშაო პროგრამა. ლიგის თავმჯდომარედ აირჩიეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის III კურსის სტუდენტი ნიკო ჯანჯღავა. გადაწყდა, გამოიცეს პერიოდული სტუდენტური ჟურნალი, რომლის რედაქტორად კრებამ აირჩია სტუდენტი ჯაბა სამუშია. ჟურნალში თავს მოიყრის საქართველოსა და უცხოეთში მოღვაწე სტუდენტ-ისტორიკოსთა ნაფიქრ-ნააზრევი.

**შორენა მორჩილაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რატომ ვისვამთ ჩვენივე ხელით ყელში დანას?

**რუსეთის** ცბიერმა იმპერიულმა პოლიტიკამ თავისი საქმე გააკეთა — დაიპყრო რა საქართველო, შეუდგა მისი ტერიტორიების ხელყოფასა და ქართველი ხალხის ეროვნული სულის ჩაკვლას, რისთვისაც უამრავ ხრიკებს ხმარობდა — ასი ათასობით ქართველი აიძულა სამშობლოდან გადახვეწილიყო, მათ ადგილზე კი მასობრივად ასახლებდა უცხოტომელებს და ხელს უწყობდა ყოველნაირად გამრავლება-გაძლიერებაში, ქართველებზე გაბატონებაში. იმის გამო, რომ სხვა ეროვნების ხალხს უამრავ შეღავათებს აძლევდა საქართველოში (თავიანთ სამშობლოში ისინიც ქართველებივით იყვნენ დაჩაგრული) და ეხმარებოდა კიდეც, თანაც ქართველებს ყოველნაირად ავიწროებდა ხელისუფლება, მრავალი გასომხდა, გათათრდა, გააფხაზ-გააფსუავდა, გაოსდა, გარუსდა... იმპერია, ამასთანავე, ყველა საშუალებით ცდილობდა ერთიანი ქართული სულის ჩაკვლას, რისთვისაც ქართველურ ეთნოგრაფიულ ჯგუფებსა თუ ტომებს უბიძგებდა კუთხური განაერძოებისაკენ, იძულებით ნერგავდა რუსულ ენას, ანადგურებდა ქართული კულტურის ძეგლებს და, რაც მთავარია, რუსული კანონმდებლობის დანერგვით ცდილობდა ქართული ზნეობის საფუძვლების შერყევასა და ამოძირკვას, ხალხის დემორალიზებას.

ერთ-ერთი მთავარი დანაშაული, რაც რუსეთის იმპერიამ განახორციელა კიდეც ნაწილობრივ, იყო ოდითგან კეთილად განწყობილ კავკასიელ ხალხებს შორის უნდობლობისა და მტრობის დათესვა — იმ ხალხებს შორის, ვინც შემოსეული მტრის ურდოებს მხარდამხარ ებრძოდნენ. ახლა აფხაზები, ოსები ხოცავენ ქართველებს და რუსის ჯარის დახმარებით ერეკებიან მამა-პაპათა მიწა-წყლიდან, ოსები დაეპატრონნენ ქისტების სახლ-კარს და მათაც ისევე ექცევიან, როგორც ქართველებს; ერთმანეთს წაჰკიდეს აზერბაიჯანელები და სომხები — უსასრულოდ იღვრება სისხლი, რისი დაღვრის უფლებაც დღეს მხოლოდ რუსეთის იმპერიიდან თავისდაღწევისათვის ბრძოლაში გვაქვს.

მამა-პაპათა მიწა-წყალი რუსეთის იმპერიამ ყველა ხალხს საცილო გაუხადა. ქვეყნის განაპირა კუთხეებს ვინღა ჩივის, რომლებიც 1801 წლის საქართველოს ანექსიის შემდეგ პერმანენტულად დაურიგა თურქეთს, აზერბაიჯანს, სომხეთს, ოსეთს, ჩეჩნეთ-ინგუშეთს და თავისთვისაც გვარიანად მიითალა, შიდა ქართლი — საქართველოს ეთნოკულტურული და სახელმწიფოებრიობის აკვანი — ცბიერი პოლიტიკის წყალობით დღეს სამხრეთ ოსეთად იხსენიება, ოსეთი კი — ჩრდილოეთ ოსეთად, ხელოვნური ავტონომიები შეგვიქმნეს და შიგ მოაქციეს წმინდა ქართული სოფლები და ქალაქები, სადაც დღეს უკვე სანთლით საძებარია ქართველი. ძველი ქართული მიწა-წყალი და კულტურის ძეგლები ცხადდება არაქართულად.

ასე ხომ შეუძლიათ, ერთ მშვენიერ დღეს მთელი საქართველო გამოაცხადონ სამხრეთ ოსეთად, აღმოსავლეთ საზერძნეთად, ჩრდილოეთ ქურთისტანად, დასავლეთ აზერბაიჯანად, ჩრდილო-დასავლეთ სომხეთად თუ სხვა ბთას დოზანად და კიდევ ერთხელ მოახდინონ საქართველოს ანექსია? კიდევ კარგი, რომ მთელ ხალხებს არ აუღიათ ნამუსზე ხელი და ნაძირალა თანამემამულეებს არ მოუდგნენ მხარში.

არადა "ქართველებისა და ინგუშების ხარჯზე პრივილეგირებულ ოსებს ისე დამამცირებლად მოექცნენ, რომ საცნობარო ლიტერატურაში მათი სამშობლოს სახელს ვერსად შეხვდებით, საქმეში ჩაუხედავ კაცს როგორ მოუვა აზრად — ეძებოს ჩრდილოეთ ოსეთი? განა, რომელ ხალხს მოექცნენ ასე ბარბაროსულად? ყველა ერის სამშობლოს ანბანურ რიგზე მიაკვლევ ოსეთს გარდა. ესაა, ხალხის პრივილეგირება? რუსულ-ოსურად კი, მაგრამ ადამიანურ ენაზე ამას რა ჰქვია? როდის გამოფხიზლდებიან ოსები, როდის დააყენებენ სწორ პოლიტიკურ მოთხოვნებს — მათ სამშობლოს ეწოდოს სწორად — ოსეთი! დედაქალაქს კი — ძაუჯიყაუ (ნეტავ ვის მოუვიდა აზრად, რომ ორჯონიკიძე შეეცვალათ რუსული დიდმპყრობელური სახელწოდებით ვლადიკავკაზით?).

რუსეთის იმპერიის მზაკვრული პოლიტიკის შედეგია, დვალეთი ოსეთს რომ შეუერთეს და დღეს ჩრდილოეთ ოსეთად მოიხსენიებენ, შიდა ქართლის დიდი ნაწილი, კუდარო, ზემო იმერეთის, რაჭის ნაწილი კი ე. წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში გააერთიანეს და სამხრეთ ოსეთად სახელდებენ. არაა გასაკვირი მტრის მხრიდან, მაგრამ თვით ქართველებს რა გვემართება? რატომ ვურევთ ერთმანეთში სულ სხვადასხვა სიბრტყეზე არსებულ ტერმინებს, რატომ ვისვამთ ჩვენივე ხელით ყელში დანას?

ერთ სიბრტყეზეა პოლიტიკური ტერმინოლოგია: სახელმწიფო, ავტონომია, აშკარა ანექსია (დვალეთის ჩამოშორება საქართველოსათვის და ოსეთისათვის გადაცემა) თუ ფარული ანექსია (საქართველოს ტერიტორიაზე მოსული ერის ადმინისტრაციული ავტონომიის — ე. წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შექმნა, მაშინ, როცა ყურის ძირში ჰქონდათ თავისი ეროვნული სახელმწიფო — ჩრდილოეთ ოსეთის (უფრო სწორად — ოსეთის!) ასსრ. ფარული ანექსიის ნაყოფი — ავტონომიური ოლქი მეტროპოლიის ფარული მხარდაჭერით—ჩვენს თვალწინ აცხადებს სამხრეთ ოსეთის საბჭოთა დემოკრატიულ რესპუბლიკას. ვინაიდან ქართველი ხალხი (ზვიად გამსახურდიას პირით) მეტროპოლიას (გორბაჩოვის სახით) უარს ეუბნება სამოკავშირეო ხელშეკრულებაზე, ე. ი. ნებაყოფლობით მონობაზე, ამას მოჰყვება გორბაჩოვის მუქარა — „თქვენ ნახავთ, რომ აფხაზეთში და ოსეთში მდგომარეობა გამწვავდება". არა თუ გამწვავებულია მდგომარეობა, დღეს ფაქტობრივად ანექსირებულია, მაგრამ არა ოსეთი, არამედ საქართველოს ის ტერიტორია, სადაც ე. წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი იყო შეკოწიწებული და რომელ კუთხესაც გულისხმობდა იმპერატორი. აფხაზეთში კი, ღვთის მადლით, აღარ აჰყოლიან ავანტიურას.

სულ სხვა სიბრტყეზეა ისტორიულ-ეთნიკურ-გეოგრაფიული ტერმინოლოგია, როგორიცაა საქართველო, ჰერეთი, კახეთი, ტაო, კლარჯეთი, აჭარა, აფხაზეთი, ზემო, შიდა და ქვემო ქართლი, დვალეთი, კუდარო, რაჭა, ოსეთი, სამხრეთ ოსეთი, ჩრდილოეთ ოსეთი, დაღესტანი და სხვა. ამდენად არ არსებობს ჩრდილოეთ ოსეთი იმ გაგებით, როდესაც მასში ოსეთს ვგულისხმობთ (თორემ ოსეთს ჩრდილოეთიც აქვს, სამხრეთიც, აღმოსავლეთიც და დასავლეთიც, ისევე, როგორც ნებისმიერ სხვა გეოგრაფიულ პუნქტს), ამავე ლოგიკით არც სამხრეთ ოსეთი არსებობს, როდესაც მასში ვგულისხმობთ ყოფილი ე. წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიას.

თუ ვახსენებთ ჩრდილოეთ ოსეთს, მასში უნდა ვიგულისხმოთ ის ტერიტორია, რომელიც ესაზღვრება ყაბარდო-ბალყარეთის სს რესპუბლიკას, ჩეჩნეთ-ინგუშეთის რესპუბლიკასა და სტავროპოლის მხარეს და არა ოსეთი ან ჩრდილოეთ ოსეთის ასსრ, თუ ვახსენებთ ოსეთს, არ უნდა გავუთანაბროთ ჩრდილოეთ ოსეთის ასსრ-ს, რამეთუ მასში შედის არა მარტო ოსეთი, არამედ 1858 წ. შექმნილი კავკასიის ხაზის მარცხენა ფრთაში შემავალი ოსეთის (ნამდვილი ოსეთი — ო. კ.) სამხედრო ოკრუგისათვის გადაცემული დვალეთი და — 1944 წელს გადაცემული ინგუშების ტერიტორია. სახელმწიფოს თუ ავტონომიის სახელწოდების შემოკლება ყოვლად დაუშვებელია, ვინაიდან ერთი სიბრტყიდან მეორეზე გადავინაცვლებთ (მაგ. ჩრდილოეთ ოსეთის ასსრ — ჩრდილოეთ ოსეთი; სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი — სამხრეთ ოსეთი) სხვადასხვა დარგის ტერმინოლოგიის ერთმანეთში არევით კი აჯაფსანდალი გამოგვდის.

ასევე, როცა ვახსენებთ სამხრეთ ოსეთს, მასში არ უნდა ვიგულისხმოთ არა თუ კავკასიონის ქედს გადმოღმა თუნდაც გოჯი მიწა, არამედ ქედს იქით მდებარე დვალეთიც, სწორედ ამ დვალეთს ჩრდილოეთიდან ესაზღვრება ოსეთის სამხრეთი, ანუ სამხრეთ ოსეთი. თუ იმ ტერიტორიების ხსენება გვინდა, სადაც ამჟამად ოკუპანტები — დაქირავებული ოსი ბანდიტები და ყაჩაღი რუსის არმია დგას, უნდა დავაკონკრეტოთ ცხინვალია ეს, საერთოდ, სამაჩაბლო თუ ქსანი, ან ვთქვათ — შიდა ქართლი (და არა შიდა ქართლი და სამაჩაბლო, სამაჩაბლოც შიდა ქართლში შედის). თუ მაინცდამაინც გვინდა შიდა ქართლის იმ რეგიონის სახელად ოსეთი ვახსენოთ (აკვიატება იცის უშნო!), აუცილებელია შემდეგი სიტყვათკომპლექსი, ანუ ავტონომიის სრული სახელწოდება — ყოფილი ე. წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, რაც პოლიტიკური ტერმინოლოგიის კუთვნილებაა და მსმენელიც სწორად მიხვდება სათქმელის აზრს.

ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატმა გულდამ ჩიქოვანმა გაზეთ „ახალგაზრდა ივერიელის" 12 თებერვლის ნომერში დასტამბა ფრიად საყურადღებო წერილი — „ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიის საკითხისათვის", სადაც ნათლად აჩენა ისტორიული სიმართლე და აქამდე უცნობი საკითხებიც გააშუქა. წერილში ასეთ ფრაზებს ვხვდებით: 1. მასში (სამაჩაბლოში — ო. კ.) შედიოდა... ზროგის ხეობა (ჩრდ. ოსეთის ტერიტორიაზეა — გ. ჩ.)...; 2. ... მაჩაბლების მფლობელობაში შედიოდნენ... ზროგის ხეობის სოფლები (ჩრდ. ოსეთშია — გ. ჩ.)...; 3. რადგან კუდარო ახლო შეხებაშია ჩრდ. ოსეთის მამისონის ხეობასთან...; 4. პირველი მათგანი ჩრდ. ოსეთის მამისონის ხეობიდან გადმოსულ ოსებს...; 5. ამ უხერხულობის გამო ს. ღურშევი მთლიანად დაიცალა (გადასახლდნენ ჩრდ. ოსეთში)...; 6. ყოფილ სამხრეთ ოსეთის შესახებ საუბრისას...; ისტორიკოსის ამ სტატიას იმდენად დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ ვერ შევძელი გაჩუმება, მაპატიოს ავტორმაც, მკითხველმაც, ამ შენიშვნებს რომ ვწერ.

ასევე მინდა შევეხო ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის ჯონდო გვასალიას „ახალგაზრდა ივერიელის" წლევანდელი № 7-16 დაბეჭდილი ღრმამეცნიერული წერილების სერიალის ზოგიერთ წინადადებას: მე-15 ნომერში წერს — გიულდენშტედტი ჩრდილო ოსეთისაგან განსხვავებით, რომელსაც ოსეთს უწოდებს, შიდა ქართლის პროვინციებზე საუბრისას...

მე-16 ნომერში — რაც შეეხება მაღრან-დვალეთისა და ქნოლის მიწისზედა აკლდამებს, მათი მსგავსი გვხვდება სვანეთში, აფხაზეთში, ხევსურეთსა და ჩრდილოეთ ოსეთში...

როცა ისტორიკოსები უშვებენ ასეთ უზუსტობას, სხვებს მკაცრად ვერ მოვთხოვთ, არადა ქართველებისაგან მსგავსი შეცდომები საკუთარი თავის წინაშე ჩადენილ დანაშაულზე უფრო დიდი დანაშაულია. როგორ გინდა გააგებინო უცხოელს, როცა ქართულ პრესაში წაიკითხავს თუ მოისმენს ჩვენგანვე ასეთ ფრაზებს — სამხრეთ ოსეთი, ჩრდილოეთ ოსეთი, საქართველოს ოსეთი. ხომ იტყვიან: ვინ არიან ეს ოკუპანტი ქართველები: რუსეთისაგან განთავისუფლება უნდათ და ოსებს არ ანებებენ სამხრეთ ოსეთსო. საზღვარგარეთ ვის აინტერესებს შენი შიდა ქართლის ისტორია, ან ვინ იშველიებს ისტორიულ ექსკურსებს ინფორმაციის მიწოდების დროს. ამიტომ ხულა გვაკვირს რუსული იმპერიალიზმის დეზინფორმაციული ნაკადის და ამ ანკესზე წამოგებული მსოფლიო საზოგადოებრიობის, ჩვენ გვეშველება ჩვენი საქმის, ჩვენც ისევე ვეუბნებით — სამხრეთ ოსეთში ასეა და ისეო, და რა ქნას ევროპელმა, აზიელმა, ამერიკელმა, აფრიკელმა თუ ავსტრალიელმა კაცმა?

**ოთარ კორაშვილი**

## წერილები რედაქციას

პატივცემულო რედაქციავ, მიუხედავად იმისა, რომ დარწმუნებული არა ვარ ჩემი წერილის გამოქვეყნების შესაძლებლობაში, მაინც შევეცდები ჩემი აზრი გამოვთქვა 28 მაისს „ახალგაზრდა ივერიელში" ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე შემსვლელთათვის გამოქვეყნებულ განცხადებაზე. ჩემი ეს გულისტკივილი (თუ გინდ გულისნადები) თუ არ დაიბეჭდება, გთხოვთ, პირადად ბატონ ნოდარ ტაბიძეს მაინც გადასცეთ.

ახლა კი თავად 28 მაისს გამოქვეყნებული განცხადების შესახებ. განცხადებაში ნათლად და არაორაზროვნად არის ნათქვამი, რომ აბიტურიენტი არ დაიშვება შემოქმედებით ტურზე, თუ მას არა აქვს გამოქვეყნებული ხუთი წერილი მაინც?!. (ხუთი წერილის დაბეჭდვა ზოგიერთ სტაჟიან ჟურნალისტსაც კი უძნელდება) ან ტელეგადაცემა გაკეთებული.

კი, ბატონო, გეთანხმებით, მაგრამ შექმენით საამისო პირობები (სპეციალური გაზეთის სახით) ისე, რომ არც ბიძამ და არც „ზემოდან რეკვამ" არ გაჭრას. ვის ვის და თქვენ მაინც მოგეხსენებათ, უმეტეს შემთხვევაში მაინც, როგორ იბეჭდება წერილები. თქვენ შეიძლება შემომედავოთ, არავითარი ბიძა და რეკვაო. მაშინ მეც შევძლებ ასეთი „ვუნდერკინდების" ჩვენებას.

თქვენს წერილში (თუ განცხადებაში) ნახსენებია შემოქმედებითი წერა, კი ბატონო! განა იქ არ გამოჩნდება, ვინ რისი მაქნისია? განა 'ის ოთხხაზიანი წერილებია რამის მთქმელი? არამც და არა, კი ბატონო, იყოს გასაუბრება ნებისმიერ თემაზე, მაგრამ არა ხუთი ან მეტი ჩაწყობილი წერილი, რომელიც გადაწყვეტს ჩვენს ბედს.

ბატონი ნოდარ! გთხოვთ, ასეთი წერილმანის გულისთვის ნუ შეკვეცავთ ფრთებს ჩემს ამ თითქმის ბავშვობისდროინდელ ოცნებას, მე მიყვარს ჟურნალისტიკა და ყოველივე მასთან დამოკიდებული, ნუ გამოგვკიდებთ ჰაერში. დამერწმუნეთ, ის პატარა წერილები ბევრი ვერაფრის მთქმელია.

პატივისცემით, ჟურნალისტიკის ფაკულტეტის ყოფილი (ალბათ) აბიტურიენტი.

**დავით ერაძე**

**ნაციონალ-რადიკალური პარტიის ხელმძღვანელებს!**

11 აპრილის „თბილისში" წავიკითხე თქვენი გადაწყვეტილება თქვენი პარტიისათვის სახელის გადარქმევის შესახებ.

ამის თაობაზე მინდა მოგახსენოთ შემდეგი: 1987 წლის 12 ივლისს მერაბ კოსტავას ხელმძღვანელობით იატაკქვეშ დაარსდა სრულიად საქართველოს ეროვნულ-რადიკალური პარტია, რომლის კომიტეტის თავმჯდომარე, დაარსების პირველი დღიდან დღემდე, მაქვს პატივი ვიყო მე.

წელს ვაპირებთ ამ პარტიის ოთხი წლისთავის აღნიშვნას და მისთვის მერაბ კოსტავას სახელის მინიჭებას, თუ მშვიდობა იქნა.

ამიტომ გთხოვთ, ჩემი განმარტება მიიღოთ მხედველობაში და თუ დიდ სიძნელეებთან არ არის დაკავშირებული თქვენს პარტიას სხვა სახელი შეურჩიოთ.

ჩვენი პარტიის წევრების და კომიტეტის სურვილია ჩვენს პარტიას არ შეეცვალოს სახელი და სიმბოლურად დარჩეს იატაკქვეშ, მერაბ კოსტავას წინაშე მოწიწებისა და პატივისცემის ნიშნად.

პატივისცემით
**ნანა ყაველაშვილი**

## წერილები რედაქციას

# ულოცავენ

**საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს**

ბატონო პრეზიდენტო,
ძვირფასო კოლეგავ.

დიდი სიამოვნებით შევიტყვე არჩევნების შედეგები საქართველოში. გთხოვთ, მიიღოთ ჩემი გულწრფელი მილოცვა თქვენი ბრწყინვალე საარჩევნო შედეგის გამო, რაც შესანიშნავად ადასტურებს ქართველი ხალხის მხარდაჭერას იმ პოლიტიკისა, რომელსაც თქვენ ახორციელებთ.

მოხარული ვიქნები თქვენი შეხვედრით მონტანას მნიშვნელოვან ფორუმზე, განსაკუთრებით კი კონფერენციაზე, რომელიც ეხება შავი ზღვის საკითხებს.

გთხოვთ, მიიღოთ, ბატონო პრეზიდენტო, ძვირფასო კოლეგავ, ჩემი გულითადი სალამი.

**ფრანსუა ლაშა,**
**ჟურას კანტონის და რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე.**
**შვეიცარია.**

**ბატონ ზვიად გამსახურდიას, საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს**

ბატონო პრეზიდენტო,
ჭეშმარიტად: „ხმა ღვთისა — ხმა ერისა". ქართველმა ერმა კიდევ ერთხელ დაგიმტკიცათ თავისი სიყვარული.

ნება გვიბოძეთ, სრულიად საქართველოს ღვთისშვილთა კავშირის სახელით, მთელი სულითა და გულით მოგილოცოთ რესპუბლიკის პრეზიდენტის საყოველთაო-სახალხო არჩევნებში მოპოვებული ბრწყინვალე გამარჯვება!

გისურვებთ ამ მღელვარე დროში მედგრად გეპყრათ რესპუბლიკის ხომალდის საჭე და საქართველო მშვიდობიანად მიგეყვანოთ თავისუფლების ნანატრ ნაპირთან!

ღმერთი გფარავდეთ თქვენ და სრულიად საქართველოს! ქრისტესმიერი სიყვარულითა და კრძალვით

**ზაზა სიხარულიძე**

# დაკარგული შვილები

**ერთ** ქართველ ახალგაზრდასთან ყოველდღიურად მიხდება შეხვედრა. ეს მაღალი, ტანადი და თვალადი 22 წლის ვაჟკაცი ზრდილიც არის და თავაზიანიც, რომ იტყვიან, თვალს ვერ მოაშორებ. სადაც ჩვენ ვიკრიბებით, იქ სხვადასხვა ასაკისა და პროფესიის ადამიანები მოდიან, დილის გამაჯანსაღებელ ვარჯიშებს ვასრულებთ — ზოგი დარბის, ზოგი დაძუნძულებს, ვისაც რა შეუძლია, იმას აკეთებს. ისე არ დავიშლებით, სახლებში ისე არ წავალთ, რომ 10-15 წუთით ერთად არ მოვიყაროთ თავი და საქართველოს მტკივნეულ საკითხებზე მგზნებარედ და ემოციურად არ გავუზიაროთ ერთმანეთს აზრები. ასე ხდება ყოველ დილით. ზემოთ რომ ახალგაზრდა ვახსენე, ისიც იქ მხვდება. შევამჩნიე, რომ ის ჩვენს ძღელვარე საუბრებში არ ერევა, განზე დგას, თავის ძაღლს ეთამაშება. არც ეროვნული მოძრაობა, არც მიტინგები, არც საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება მას არ აინტერესებს, ამ ამბებს მის შუბლზე ერთი ძარღვიც არ შეუტოკებია. ერთხელ ვკითხე კიდეც, ასე გულგრილი რომ ხარ ჩვენი საუბრებისადმი, შენ არ გაწუხებს რესპუბლიკის წინაშე მდგარი ამდენი მწვავე პრობლემა? მან მშვიდად ჩაიღიმილა და თავაზიანად მიპასუხა: მე რა უნდა ვქნაო. როცა ვკითხე, რომელი სკოლა დაამთავრე და ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ვინ გყავდა-მეთქი, მიპასუხა, რუსული სკოლა დავამთავრეო. მისი გულგრილობის მიზეზს მაშინვე მივხვდი.

გავიდა ხანი და ვიფიქრე, ამ ბიჭს ასე ვერ დავტოვებ, როგორმე უნდა „მოვარჯულო"-მეთქი. ერთხელ ვკითხე, ილია ჭავჭავაძის „მგზავრის წერილები" თუ გაქვს წაკითხული? მიპასუხა—არაო. როგორღაც თხოვნა შევაპარე, რომ წაეკითხა. რა დიდი ეს მოთხრობაა, რომ მის წაკითხვას დიდი დრო დასჭირდეს. გავიდა ორიოდე დღე და ვკითხე, რა ქენი, წაიკითხე-მეთქი? მიპასუხა, ნახევარი წავიკითხეო. არ მესიამოვნა, მაგრამ რას ვიზამდი. ის კი გავიფიქრე, ნახევარი თუ წაიკითხა, გულმა როგორ გაუძლო, რომ ბოლომდე არ ჩაიკითხა, კითხვა როგორ შეწყვიტა, ამაზე უკეთესს რას აკეთებდა-მეთქი. ის გრძნობდა, რომ მე ყოველდღე ველოდი მის პასუხს, ბოლომდე თუ ჩაიკითხა და რა იგრძნო, რა განიცადა, რა აზრი გამოიტანა. მაგრამ გადის დრო და ის დუმს. უკვე დავრწმუნდი, რომ ილიას მიერ ნათქვამი — ჩვენი თავი ჩვენვე უნდა გვეკუთვნოდესო, მის გონებას, სულსა და გულს ვერ მიეკარა.... ვაგლახ, ეს ასეა, მაგრამ რა არის ამის მიზეზი? მიზეზი ისაა, რომ მან, ქართველმა, ქართული სკოლა არ დაამთავრა, ის ქართული სკოლა, რომელმაც ბავშვობიდანვე უნდა გაუღვიძოს, ჩაუნერგოს და ჩამოუყალიბოს ადამიანს ეროვნული გრძნობა, ერის ტკივილის განცდა, სამშობლოს წარსულის გულმოდგინე შესწავლით დღევანდელობის გაგების უნარი, ორივე ამით კი — მომავლის განჭვრეტაც. მოკლედ რომ ვთქვათ, სკოლამ ქართველი მოსწავლე ქართველად უნდა აღზარდოს. ზემოთ რომ ახალგაზრდა ვახსენე, ეროვნულისადმი გულგრილობაში მას კი არ მიუძღვის ბრალი, არამედ მის მშობლებს, რომლებმაც შვილი რუსულ სკოლაში შეიყვანეს.

განა ის ახალგაზრდა ერთადერთია? მარტო თბილისში რამდენია მისი მსგავსი, ახლა რაიონებში, სოფლებში? განა ჩვენ არ ვიცით, რომ მრავალი ათეული წლის განმავლობაში საქართველოს პარტიული და საბჭოთა, აგრეთვე, სამეურნეო ხელმძღვანელობის, ე. წ. „ელიტის" ოჯახებიდან ძალიან ბევრს თავიანთი შვილები რუსულ სკოლებში შეჰყავდათ და მათ ბაძავდნენ უფრო დაბალი ჩინების მქონე ადამიანები, მათი ოჯახები? ეს სენი მაშინ მეტასტაზებივით მოედო მთელ რესპუბლიკას. ამითაც იყო გამოწვეული, რომ საქართველოში ძალიან იმატა რუსული სკოლების რაოდენობამ. ქართველი ბავშვების რუსულ სკოლაში შეყვანის მრავალი მიზეზი გაჩნდა, მათ შორის ერთ-ერთი იყო ჩვენში გამეფებული მახინჯი საკადრო პოლიტიკა, რომლის გამოც სამსახურში მიღების მთავარ პირობად ითვლებოდა რუსული ენის ცოდნა. ამიტომ ხდებოდა, რომ ქართული ოჯახები, რომლებიც ეროვნულ პრინციპებს არ დაგიდევდნენ, შვილებს რუსულ სკოლებში აბარებდნენ. რუსული სკოლა კი ქართველად ვერ გაზრდის, ის რუსად აღზრდის და დღევანდელ ბავშვს, ხვალ მოქალაქე და საზოგადოების წევრი რომ უნდა გახდეს, მანქურთად აქცევს. ეს იმდენად ცხადია, რომ მტკიცება საჭირო არცაა. ამ და სხვა გარემოებათა გამო. ათასობით და ათიათასობით ქართველი ბავშვი, ვინც რუსული სკოლა დაამთავრა, მოსწყდა ეროვნულ ფესვებს, გაუცხოვდა და ეროვნულისადმი გულგრილი შეიქმნა. ასე მივიღეთ ათიათასობით ქართველი, ვინც დღევანდელი ეროვნული მოძრაობისადმი, რბილად რომ ვთქვათ, გულგრილია. მე ისინი საქართველოს დაკარგულ შვილებად მიმაჩნია. ასეთია ჩემს მიერ ზემოთ ნახსენები ახალგაზრდაც.

მაგრამ რაც ზემოთ ვთქვი, ეს მხოლოდ ფაქტის შემჩნევა და აღნიშვნაა. მარტო ამით კი საქმეს ვერ ეშველება. მთავარია, მივაგნოთ ისეთ საშუალებას, რომელიც მომავალში მაინც თავიდან აგვაცილებს ქართველი ბავშვების მანქურთებად გადაქცევას, საქართველოს შვილების დაკარგვას.

საბჭოური რეჟიმის დროს ბავშვთა „კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდის" საქმე საოცარი გულმოდგინებით და ფართოდ განტოტვილი ქსელით ხდებოდა: ამას ემსახურებოდა ოქტომბრელთა, პიონერთა, კომკავშირელთა ორგანიზაციები, პიონერთა სასახლეები, ბანაკები, პრესა, რადიო, ტელევიზია, მწერლობა, კინო, თეატრი... ასე ტოტალურად უტევდნენ ბავშვთა და მოზარდთა გონებას, გულს, სულს და მიზანსაც აღწევდნენ. დღეს ამისი მსგავსი და მისი სანაცვლო არარაფერი გვაქვს.

დღეს ბავშვთა და მოზარდთა აღზრდის მთავარი პრინციპი უნდა გახდეს ქართული ეროვნული სულისკვეთებით მათი აღზრდის პრინციპი. მაგრამ საამისოდ ჯერ არც საშუალებებია დაძებნილი და არც მეთოდები, ამიტომ ეს საპატიო ტვირთი დღეს სწორედ სკოლამ უნდა იკისროს. ამიტომ მე დღეს მხოლოდ სკოლაზე ვამახვილებ ყურადღებას, რადგან ამ საქმეში სკოლამ გადამწყვეტი როლი უნდა შეასრულოს.

რა უნდა ვიღონოთ იმისათვის, რომ ქართველი ბავშვების გამანქურთების პროცესი შეწყდეს? ნუ იფიქრებთ, რომ ამ კითხვაზე მარტივი პასუხი არსებობდეს, მაგალითად, ასეთი: ქართველმა მშობლებმა თავიანთი შვილები ქართულ სკოლაში შეიყვანონ და ამით პრობლემა გადაიჭრებაო. წარმოიდგინეთ, მარტო ეს არ კმარა. გადასაწყვეტია თვით ქართული სკოლების სასწავლო პროგრამები, ე. ი. უნდა დავინტერესდეთ, რას ვასწავლით ქართულ სკოლებში და როგორ ვასწავლით. გადასაწყვეტია სასწავლო საგნების ნუსხაც და შინაარსიც.

ჩვენი ნათქვამის პათოსი ის კი არ არის, რომ ქართულმა სკოლამ ვიწრო ეროვნულ ჩარჩოებში მოაქციოს მთელი სასწავლო პროცესი, არამედ ის რომ ქართველი ბავშვი აღიზარდოს უპირველესად ქართველად, საქართველოს ერთგულ შვილად, ხოლო ამ გზის გავლით ის გახდეს კაცობრიობის შვილი ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით. უსამშობლო, ე. წ. პლანეტის მოქალაქე ადამიანი ვერც თავის ქვეყანას არგებს რამეს და ვერც კაცობრიობას გაუწევს კეთილ სამსახურს.

ქართველი ბავშვი ქართულ სკოლაში რომ უნდა სწავლობდეს, ამას მტკიცება არ სჭირდება, რადგან მეცნიერულად დამტკიცებულია, რომ მხოლოდ მშობლიურ ენაზე სწავლება იძლევა მაქსიმალურ შედეგს. სხვათა ენაზე ბავშვის აღზრდა არასრულფასოვანია არა მარტო ცოდნის დაგროვების მხრივ, არამედ ფსიქიკის თვალსაზრისითაც, სხვა გარემოებათა გამოც. ამიტომ დროა ყველა მშობელმა უკუაგდოს მანკიერი აზრი თავისი შვილის „ფართო ასპარეზზე მოღვაწეობისათვის მომზადებისა" და შვილებს მშობლიურ ენაზე მისცეს განათლება. ღვთისა და ეროვნული მოძრაობის წარმატებათა წყალობით დღეს საქართველოში აღარ არის ის დამღუპველი ვითარება, როცა ადამიანი წინ წაიწევდა მხოლოდ რუსული ენის ცოდნით, მხოლოდ რუსული აღზრდით.

მაგრამ არის მეორე, არანაკლებ მნიშვნელოვანი გარემოება, რომლის გაუთვალისწინებლად თვით ქართულ სკოლაში აღზრდილი მოსწავლეც ვერ გახდება ჭეშმარიტი მამულიშვილი. ეს სწორედ ის საკითხია, ზემოთ რომ ვახსენე — რას და როგორ ვასწავლით ბავშვს.

ბავშვს, შესაძლოა, ქართულ სკოლაში ასწავლიდე ქართულ ენას, ეგებ გაიზარდოს კიდეც მისთვის გამოყოფილი საათების ოდენობაც, მაგრამ მაინც ვერ შეაყვარო მშობლიური ენა. ეს იმიტომ, რომ მხოლოდ გრამატიკის კანონების დაზუთხვა ბავშვს ენას ვერ შეაყვარებს. მასწავლებელმა თუ ბავშვს არ მიაწოდა ქართული ენის განვითარების ისტორიის საინტერესო მომენტები, თუ არ უამბო მშობლიური ენის დაცვისათვის ქართველთა თავგანწირული ბრძოლის ეპიზოდები, თუ არ გააცნო ნაწყვეტები ისეთი მხატვრული ნაწარმოებებისა, რომლებშიც ქართული ენის მომხიბვლელობა, განცდისა და აზრის გამოხატვის განსაცვიფრებელი უნარი ზეიმობს, თუ არ შეასწავლა ის ლიტერატურული ტექსტები, რომლებიც ქართულ ენას ეძღვნება და ა. შ. ისე, მხოლოდ გრამატიკის წესების დაზუთხვით, თვით ქართველი ბავშვიც კი ვერ შეიყვარებს მშობლიურ ენას. და რაკი ვერ შეიყვარებს, არც შეიყვარებს და ვერც გახდება მისი ქომაგი და დამცველი. ჩემი ნათქვამის მთელი პათოსი ისაა, რომ ქართული ენის სწავლების მეთოდები უნდა შეიცვალოს. ამის მიზანი კი ისაა, რომ ბავშვი უნდა მოიხიბლოს ქართული ენით, სიყვარულით უნდა სწავლობდეს მას, მოთხოვნილებად უნდა ექცეს მას ქართული ენის სრულყოფილი დაუფლება, სიამაყით უნდა აღივსოს ბავშვი იმის გამო, რომ მისმა მშობელმა ხალხმა შექმნა „სიყვარულის, ლექსის და ღმერთების ენა". ამას უნდა მიაღწიოს სკოლამ.

ამავე თვალსაზრისით უნდა მივუდგეთ სკოლაში ქართული ლიტერატურის სწავლების საქმესაც. ხომ ფაქტია, რომ მრავალი წლის მანძილზე, ქართულ სკოლაში ისწავლებოდა ლექსი „კომბაინი ბახტრიონთან" და მთელი აქცენტი იმაზე კეთდებოდა, რომ ბედნიერმა ახალმა ცხოვრებამ ხალხს კომბაინი მისცაო. როგორ, ბავშვი, ბახტრიონთან მიიყვანო და არაფერი უთხრა კახეთის ცნობილ ისტორიულ აჯანყებაზე, განთავისუფლებისათვის ხალხის ბრძოლაზე, გმირებზე, თუნდაც მხოლოდ ბიძინა ჩოლოყაშვილზე? ამის გარეშე ქართველმა კაცმა ბახტრიონი როგორ უნდა ახსენოს? რატომ ხდებოდა ასე? ეს ყველამ კარგად იცის. მოკლედ რომ ვთქვათ, ასე იმიტომ ხდებოდა, რომ ქართველს ქართველობა დავიწყებოდა, მას ეროვნული გრძნობა რომ აღარ ჰქონოდა. ამ ერთი კონკრეტული ფაქტის მიხედვით (რადგან ის ერთადერთი როდია, მისი მსგავსი მრავალია) შეიძლება დავრწმუნდეთ, რომ არ კმარა სკოლაში სასწავლო საგანი კი იყოს ქართული პროფილისა (ამ შემთხვევაში ქართული ლიტერატურა), მაგრამ იგი არ იყოს ქართული სულისკვეთებისა. მთავარი სწორედ სულისკვეთებაა. განა სულ ერთია, მოწაფეს ასწავლი ლექსს „ხმა კატამონთან" თუ „კომბაინი ბახტრიონთან"? არა, ბატონებო, მათ შორის დიდი ზღვარია! ამიტომ ჩვენ თავს არ უნდა ვიმშვიდებდეთ იმით, რომ ქართულ სკოლაში ქართული ლიტერატურის სწავლებას მეტი საათი გამოეყო, ე. ი. იგი „გაძლიერდა". ეს საკითხის მხოლოდ ერთი მხარეა, საჭირო, მაგრამ მაინც მხოლოდ ერთი მხარე. ყურადღება იმაზე უნდა გავამახვილოთ, თუ რას ვასწავლით, რა მუხტით ვასწავლით ამ საგანს.

ანალოგიურად უნდა გაიაზრებოდეს სკოლაში საქართველოს ისტორიის სწავლებაც. აქაც არა მარტო საათების გაზრდაზე უნდა ვზრუნავდეთ (ეს თავისთავად!), არამედ იმაზეც, თუ ჩვენი ხალხის მიერ განვლილი ისტორიული გზიდან რა მომენტებს, ფაქტებს, მოვლენებს, რომელი პიროვნებების რა საქმეებსა და რა კუთხით ვასწავლით ბავშვებს. განა სულ ერთია ბავშვის ეროვნული სულისკვეთების ასამაღლებლად ვასწავლით რუსეთის პირველ სამამულო ომში მონაწილე ქართველი გენერლების გმირობის ეპიზოდებს, თუ დიდგორის ომში გამოვლენილ დავით აღმაშენებლის სწორუპოვარ მხედრულ ტალანტსა და მამაცობას, ქართული ლაშქრის გაუგონარ თავდადებასა და გმირობას? ანდა, განა სულ ერთია, ვასწავლით ცოტნე დადიანის ზნეობრივ სიმაღლეს თუ შადიმანის ვერაგობასა და სიმდაბლეს? ცხადია, მე აქ პოლარულად განსხვავებული მაგალითები მოვიტანე, მაგრამ, ეს ჩავიდინე საკითხის უფრო მკაფიოდ გამოკვეთისათვის. მაგალითები ათასნაირია და მათზე დაუსრულებლივ შეიძლება ლაპარაკი. მთავარია პოზიცია — რას ვასწავლით და რა სულისკვეთებით, რა მიზნის მისაღწევად.

მთავარია, რომ ქართველი ბავშვი განათლებას უნდა იღებდეს ქართულ სკოლაში.

ქართველი ბავშვი უნდა იზრდებოდეს ჭეშმარიტ ქართველად. ქართულ სკოლაში ქართული პროფილის საგნები უნდა ისწავლებოდეს ბავშვში ეროვნული სულისკვეთების აღსაზრდელად.

ე. წ. მსოფლიოს მოქალაქე არავის არგებს. მხოლოდ ეროვნულიდან იწყება გზა საკაცობრიოსაკენ.

თუ ყოველივე ეს მალე თანდათანობით არ განხორციელდება, კვლავაც გაგრძელდება „დაკარგული შვილების" რიგების ზრდა.

ჩვენ კი, მართლაც, სადა გვყავს „შვილი დასაკარგავი".

**ტარიელ კვანჭილაშვილი**

# კონტაქტები

## ისევ შავი ზღვის პრობლემები

**მიმდინარე წლის 18-19 მაისს ქალაქ პალერმოში გაიმართა ფართო მასშტაბის საერთაშორისო კონფერენცია, რომელიც ხმელთაშუა ზღვის რეგიონის პრობლემებს მიეძღვნა.**

**კონფერენციის მუშაობაში ევროპისა და აფრიკის ქვეყნების წარმომადგენლებთან ერთად მონაწილეობდა საქართველოს მწვანეთა დელეგაცია.**

**კონფერენციის ხაგანგებო მსჯელობის საგანი გახდა შავ ზღვაზე შექმნილი უმძიმესი მდგომარეობა. აღინიშნა, რომ აუცილებელია შედგეს ახეთივე ფართო მასშტაბიანი საერთაშორისო შეხვედრა, რომელიც განიხილავს შავი ზღვის რეგიონის პრობლემებს. შეხვედრა დაიგეგმა 13-14 ივლისისათვის საქართველოს შავიზღვისპირეთში.**

**საქართველოს მწვანეთა ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარისა და მწვანეთა პარტიის სპიკერის ზურაბ ჟვანიას წინადადებით კონფერენციამ მიიღო სპეციალური რეზოლუცია შავ ზღვასთან დაკავშირებით, რომლის სრულ ტექსტს ქვემოთ გთავაზობთ. ეს რეზოლუცია გამოქვეყნდა დასავლეთის პრესაში, გადაიცა იტალიის ტელევიზიით.**

**შავი** ზღვა დღეისათვის ჩვენი პლანეტის ერთ-ერთ ყველაზე მწვავე წერტილს წარმოადგენს. შეუწყვეტლივ მიმდინარეობს მისი გაბინძურება კომუნალური და სამრეწველო ნარჩენებით, ფეკალური წყლები უშუალოდ ზღვაში ჩაედინება, მეტად გააქტიურებულია სანაპირო ზოლის გადარეცხვისა და ნგრევის პროცესები, პრაქტიკულად განადგურებულია ზღვის ეკოსისტემები, საგანგაშო ხასიათს იღებს შავი ზღვისათვის დამახასიათებელი უჟანგბადო მომწამლავი გოგირდწყალბადის შემცველი ფენის პრობლემა.

მავნე და ტოქსიკურ ნივთიერებათა ჭარბი კონცენტრაცია და თევზჭერის ბარბაროსული მეთოდები წარმოადგენს შავი ზღვის იქტიოფაუნის კატასტროფული მდგომარეობის მთავარ მიზეზს. დღეს უკვე პრაქტიკულად განადგურებულია ათეულობით სახეობის თევზი და მოლუსკი.

●

მეტად სერიოზულად დგას შავი ზღვის რადიაციული გაბინძურების პრობლემა. დღემდე უცნობია ჩერნობილის კატასტროფის რეალური შედეგები.

●

არ არის გახსნილი ინფორმაცია სანაპიროზე განლაგებული სამხედრო ბირთვული ობიექტების შესახებ. შავიზღვისპირეთში საბჭოთა და ნატოს სამხედრო ბაზების მიერ მიტაცებულია ასეულობით ჰექტარი მიწა, და არავინ — მთავრობის ჩათვლით — არ იცის მათ მიერ დაქირავებული ძალებისა და განლაგებული იარაღის ზუსტი რიცხვი.

●

შავიზღვისპირა სახელმწიფოებია — თურქეთი, ბულგარეთი, უკრაინა, რუმინეთი, რუსეთი და საქართველო. ყველა ამ ქვეყანაში უახლოეს წარსულში არსებობდა ტოტალიტარული რეჟიმები და თითოეული მათგანი დღეს იმყოფება ღრმა ეკონომიკური კრიზისის პირობებში.

●

ყოფილი საბჭოთა ბანაკის ქვეყნებში განსაკუთრებით მკვეთრად დგას დასავლეთის ეკონომიკური ექსპანსიის საშიშროება, აქედან გამომდინარე „ბუნების ექსპორტი" ანუ მავნე ტექნოლოგიები, „დაბალი ხარისხის" ტურიზმი და ა. შ. და მისი მოსალოდნელი შედეგები. ამ ქვეყნების მოსახლეობა დახარბებულია დასავლური კომფორტის ყოველგვარ ნიშანს. ამგვარ განწყობილებას პირველ რიგში საარსებო გარემო ეწირება.

●

შავი ზღვის პრობლემები მოითხოვს საერთაშორისო ეკოლოგიური პროექტების განხორციელების დაუყოვნებლივ დაწყებას, რომლებიც დამყარებული იქნება ფართო თანამშრომლობაზე ყველა დონეზე და შავი ზღვის ახალ კონცეფციაზე, როგორც მშვიდობისა და თანამშრომლობის ზღვისა.

●

ჩვენ გვსურს ვიხილოთ დემილიტარიზებული და უსაფრთხო შავი ზღვა — როგორც ნაწილი ახალი ხმელთაშუა ზღვის სისტემისა, რომელიც დაამსხვრევს ყველაფერს, რაც ჰყოფს აღმოსავლეთს დასავლეთისაგან და ჩრდილოეთს სამხრეთისაგან.

**საქართველოს მწვანეები**

## ბუნება, ბავშვები, მშვიდობა

როგორც ვიუწყებოდით (1. 06. 1991) ასეთი დევიზი აქვს ფოტოკონკურსს, რომელიც გაიხსნა გარემოს დაცვის მსოფლიო დღეს საქართველოს დედაქალაქში, ფოტოჟურნალისტთა და კინემატოგრაფისტთა ეროვნული ასოციაციის საგამოფენო დარბაზში (თბილისი, ლესელიძის ქუჩა, 8). საორგანიზაციო კომიტეტმა გამოიტანა კონკურსის ჟიურის მიერ 4000 ნამუშევრიდან შერჩეული 120 ნაწარმოები.

ახლა სიტყვა დამთვალიერებელს ეკუთვნის. კონკურსის ორგანიზატორები და ჟიური გიწვევთ ყველას, ვისაც აინტერესებს თემატიკა — ბავშვები, ბუნება, მშვიდობა.

ჩვენი სურვილია რაც შეიძლება მრავალმა თბილისელმა და დედაქალაქის სტუმარმა ნახოს საკონკურსო ფოტოგამოფენა, გამოხატოს თავისი თვალსაზრისი თუ ვის ეკუთვნის პირველი პრემია, ორი მეორე პრემია, სამი მესამე პრემია და სამი წამახალისებელი პრემია.

საკონკურსო ფოტოგამოფენა, რომელიც 11 ივნისამდე გასტანს, ღიაა ყოველდღე დილის 11 საათიდან 18 საათამდე.

**საორგანიზაციო კომიტეტი**

## ხელისმომწერთა საყურადღებოდ

საგამომცემლო ფირმა „სადარა" შეგახსენებთ, რომ გამოსულია ქართული ემიგრანტული ლიტერატურის პირველი ტომი, რომლის შეძენაც შეგიძლიათ თავისუფლების მოედანი, № 4-ში.

წიგნი ხელისმომწერებს შეენახებათ მ/წლის 20 ივნისამდე. აღნიშნული ვადის შემდეგ გაიყიდება თავისუფალი ვაჭრობით და ფირმა დაგვიანებულ ხელისმომწერებთან პასუხს არ აგებს.

**ფირმა „სადარა"**


## ყურადღება

**ქ. ჭვარის კომერციულ ფირმა „თარჯს" აქვს შესაძლებლობა დაინტერესებულ პირებსა და ორგანიზაციებს მიაწოდოს უცხოური წარმოების „ფორდ სიერას" მარკის ახალი მანქანები 320 000 მანეთად. როგორც ბენზინის ისე დიზელის ძრავით. ცნობებისათვის დარეკეთ — 61-38-59.**


# ანტისაოკუპაციო მოძრაობა

## პირველი ნაბიჯები

მას შემდეგ, რაც შეიქმნა ანტისაოკუპაციო მოძრაობა, მოძრაობის საინიციატივო ცენტრი და გამოქვეყნდა დეკლარაცია ამ მოძრაობისა, გავიდა ერთ კვირაზე ცოტა მეტი დრო. ამ მოკლე დროის მონაკვეთში ანტისაოკუპაციო მოძრაობის საინიციატივო ცენტრის ინიციატივით საქართველოს დედაქალაქში მოეწყო საპროტესტო დემონსტრაცია ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის წინ და მოხდა გასვლები დუშეთის, დედოფლისწყაროსა და სიღნაღის რაიონებში. ამ გასვლების მიზანია რაიონებში ანტისაოკუპაციო მოძრაობის საინიციატივო ჯგუფებისა და ადგილობრივი კომიტეტების შექმნა, რათა ანტისაოკუპაციო მოძრაობამ სრულიად საქართველოს მასშტაბით საყოველთაო ხასიათი მიიღოს.

ანტისაოკუპაციო მოძრაობის საინიციატივო ცენტრის წარმომადგენლები: ირაკლი წერეთელი, თემურ ქორიძენიძე და გურამ გოგბაიძე აღნიშნული რაიონების წარმომადგენლებს ესაუბრნენ ანტისაოკუპაციო მოძრაობის ისტორიული მისიისა და დანიშნულების გარშემო. შეხვედრებზე დამსწრე საზოგადოებას გააცნეს ანტისაოკუპაციო მოძრაობის მსოფლმხედველობრივ-პოლიტიკური პრინციპები, ბრძოლის გზები და ორგანიზაციული სტრუქტურები.

დუშეთის, დედოფლისწყაროსა და სიღნაღის რაიონების ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის ადგილობრივი ორგანიზაციებს დაევალათ აღნიშნულ რაიონში ანტისაოკუპაციო მოძრაობის საინიციატივო ჯგუფების შექმნა.

### საქართველოს ანტისაოკუპაციო მოძრაობის საინიციატივო ცენტრის განცხადება

**1991 წლის 28 ივნისს, პარასკევს, საქართველოს დედაქალაქში ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის წინ ანტისაოკუპაციო მოძრაობის საინიციატივო ცენტრის ხელმძღვანელობით ეწყობა საპროტესტო დემონსტრაცია საქართველოდან საოკუპაციო ჯარების გაყვანის მოთხოვნით. მანიფესტაცია დაიწყება 17 საათზე, კინოს სახლის წინ, შოთა რუსთაველის მოედანზე.**

**სრულიად საქართველოს, ყველა ქართველს მოგიწოდებთ მონაწილეობა მიიღოთ აღნიშნულ ანტიმოსკოვურ და ანტიიმპერიულ მანიფესტაციაში.**

### ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალს გენერალ-პოლკოვნიკ პატრიკეევს ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის გენერალიტეტს

**ბატონო გენერალო!**

ღრმად პატივცემულო გენერლებო და ოკუპანტებო! საქართველოს ანტისაოკუპაციო მოძრაობის საინიციატივო ცენტრი 1991 წლის 28 ივნისს, პარასკევს გეგმავს საპროტესტო პოლიტიკურ დემონსტრაციას ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის წინ. ჩვენი მიზანი საქართველოს განთავისუფლებაა, რაც უპირველეს ყოვლისა, ითვალისწინებს საქართველოს სრულ და უპირობო დეოკუპაციას; ამიტომაც ჩვენ ყოველთვის მოვუწოდებდით და მოვუწოდებთ ქართველ ერს შეურიგებელი და უკომპრომისო ბრძოლებისაკენ კრემლის იმპერიისა და მისი შეიარაღებული ძალების წინააღმდეგ. მაგრამ ამასთანავე, ბატონო ოკუპანტებო, თქვენ კარგად მოგეხსენებათ, რომ ჩვენი ბრძოლა თავისუფლებისათვის ემყარება მშვიდობიანი და არაშეიარაღებული წინააღმდეგობის სტრატეგიას, რისი ნათელი მაგალითიცაა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის წინ უშუალოდ ჩვენს მიერ სამგზის ჩატარებული მრავალათასიანი აქცია.

1991 წლის 28 ივნისს, პარასკევს ჩვენ ისევ მოვალთ, შტაბთან. ჩვენ ყოველთვის ვივლით, ვიდრე საქართველო სრულიად არ განთავისუფლდება საბჭოთა დამპყრობლის საოკუპაციო ჯარებისაგან მაგრამ ჩვენი მხრიდან, როგორც ყოველთვის, ამჟამადაც გამორიცხული იქნება შეიარაღებული პროვოკაცია.

ჩვენი პროტესტი იქნება მხოლოდ სიტყვაში განცხადებული სიმართლე, ამიტომ წინასწარ გაფრთხილებთ: მაქსიმალური სიფრთხილე გამოიჩინეთ, რათა სამხედროების მხრიდან ადგილი არ ჰქონდეს პროვოკაციებსა და გაუთვალისწინებელ ექსცესებს. წინააღმდეგ შემთხვევაში მთელი პასუხისმგებლობა დაგეკისრებათ თქვენ. ჩვენი მხრიდან ძალადობა გამორიცხულია, ხოლო თავისუფლებისათვის ბრძოლაზე უარს ვერ ვიტყვით.

**საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიისა და ანტისაოკუპაციო მოძრაობის სახელით**

**ირაკლი წერეთელი**

# თანადგომა ჩემპიონსაც სჭირდება







**ამ ორი კვირის წინათ თბილისში დამთავრდა ნონა გაფრინდაშვილის საიუბილეო ტურნირი. „ახალგაზრდა ივერიელის" მკითხველმა იცის მისი შედეგები (იგი გაზეთის 28 მაისის ნომერში დაიბეჭდა). დღეს გთავაზობთ საუბარს ამ ტურნირის მონაწილე, მსოფლიო ჩემპიონ მაია ჩიბურდანიძესთან საიუბილეო ტურნირსა და ჩინელ სე ჯუნთან მსოფლიო პირველობის, მისი მომავალი მატჩის შესახებ.**

— არ დაგიმალავთ, ორი წელი ვიბრძვი ვაჟებთან ერთობლივი ტურნირის მოსაწყობად, ჩემი ოცნება სინამდვილედ აქცია ნონა გაფრინდაშვილის ღირსსახსოვარმა იუბილემ. დიდოსტატმა ქალებმა დიდი სიამოვნებით მივიღეთ მონაწილეობა. ჩემი აზრით, ტურნირი ძალიან საინტერესოდ წარიმართა. კიდევ უფრო მიმზიდველი იქნებოდა, ნანა ალექსანდრიასა და ზურაბ აზმაიფარაშვილს რომ ეთამაშათ, ნინო გურიელი ავად არ გამხდარიყო. მენანება ის, რომ ეს უჩვეულო ტურნირი ჭადრაკის ზეიმად ვერ იქცა. მისი დაწყება საქართველოში დიდ ტრაგედიას, ძლიერ მიწისძვრას დაემთხვა.

**— ტურნირის შედეგები კანონზომიერად თუ მიგაჩნიათ?**

— სავსებით, თუმცა ზოგს, მათ შორის თვით გამარჯვებულებს გია გიორგაძესა და ზურაბ სტურუას, მეტი ქულის მოგროვება შეეძლოთ. ასევე ახალგაზრდა ლაშა ჯანჯღავას, რომელიც ზედმეტად აკადემიური იყო. ქალებიდან აღვნიშნავდი ორივე ქეთევანს. კახიანმა მომაწონა თავი შესაშური შეუპოვრობით. ჩემი აზრით, იგი შესამჩნევად „გაიზარდა". არახამიამ საკმაო ქულები დააგროვა, მაგრამ მთლიანად ვერ წარმოაჩინა თავისი დიდი შესაძლებლობები. ამჯერადაც ხშირად იყო ცაიტნოტში. ჩანს, ძალიან უყვარს იგი, რაკი ცაიტნოტის ციებ-ცხელებაში ხშირად „ატყუებს" მეტოქეებს!

ჩვენთან შედარებით ქალბატონ ნონას დიდი ფსიქოლოგიური დატვირთვა ჰქონდა, როგორც „ტურნირის მასპინძელს", მის ორგანიზატორს. ცხადია, ამან თავისი დაღი დააჩნია მის ენერგიულ თამაშს, დაუკარგა სისადავე და „დარტყმის სიზუსტე". მისი ერუდიცია და შემართება მხოლოდ რამდენიმე პარტიაში გამოჩნდა.

ნანა იოსელიანი არ იყო სპორტულ ფორმაში. შესაძლოა დაღლილი დაბრუნდა ნორვეგიიდან, სადაც ვაჟთა საერთაშორისო ტურნირში წარმატებით მონაწილეობდა.

**— რას იტყვით საკუთარ თამაშზე?**

— მე სიამოვნებით ვმონაწილეობდი ტურნირში. როგორც დამჩემდა, თავიდან მძიმედ ვთამაშობდი, თანდათან „მადა" გამეხსნა და ლიდერებს დავეწიე. მაგრამ ფინიშზე ბოლომდე მტკიცე ვერ ვიყავი. კმაყოფილი ვარ პარტიებით ბუხუტი გურგენიძესთან და ზურაბ სტურუასთან. მაგრამ ჩემი მთავარი მიზანი იყო ჩინელ სე ჯუნთან მატჩისთვის პრაქტიკული მზადება.

**— როდის და სად გაიმართება მსოფლიო პირველობის თქვენი მატჩი?**

— როგორც ჩანს, სექტემბერ-ოქტომბერს ფილიპინების დედაქალაქ მანილაში. საქმე ისაა, რომ მასპინძლის სხვა კანდიდატურა არ არის. ამას წინათ საბერძნეთში ფიდე-ს ალმასკომის სხდომას დავესწარი. იქ შევიტყვე, რომ ძალიან დავაგვიანე მატჩის მასპინძლის შერჩევა, რაც ულოდინარობით მომივიდა. ადრე ჩემი მეტოქე ყოველთვის საბჭოთა მოჭადრაკე იყო და სათამაშო ადგილის არჩევა სიძნელეს არ წარმოადგენდა. უცხოელი პრეტენდენტის შემთხვევაში ეს არცთუ ადვილი გადასაჭრელი პრობლემა აღმოჩნდა. თამაში ევროპის რომელიმე ქვეყანაში მსურდა, მაგრამ, როგორც ვთქვი, დავაგვიანე ამაზე ზრუნვა. ამიტომ ფიდე-ს პრეზიდენტმა ფლორენსიო კამპომანესმა თავაზიანად მიგვიწვია თავის სამშობლოში ფილიპინებზე. თამაშის დაწყების თარიღი ჯერჯერობით დაუზუსტებელია.

**— ძნელი ორთაბრძოლა მოგელით. ალბათ, მზადებას უკვე შეუდექით.**

— რა თქმა უნდა, მწვრთნელად ისევ ლუგანსკელი დიდოსტატი გენადი კუზმინი მყავს. ჩვენ 1984 წლიდან ვთანამშრომლობთ. ფიდე-ს დებულებით მეორე მწვრთნელიც მივიწვიე. ამჯერად გამოცდილი დიდოსტატი ვიტალი ცეშკოვსკი კრასნოდარიდან, ადრე, 1988 წელს იგი ნანა იოსელიანს ეხმარებოდა ჩემთან მატჩში.

მინდა მადლიერების დიდი გრძნობით ვაუწყო საზოგადოებრიობას, რომ ჩემი მზადება თავს იდო ჩეხოსლოვაკია-საქართველოს ერთობლივმა საწარმომ „გეორგიამ", რომლის დამფუძნებელია საქართველოს მოწყალებისა და ჯანმრთელობის ფონდის ფირმა „ტაო", საქართველოს მხრიდან „გეორგიას" პრეზიდენტია ბატონი თენგიზ სხირტლაძე, ვიცე-პრეზიდენტი ბატონი ალიკ ონიაშვილი, რომლებიც ზრუნვას არ მაკლებენ. მათ შემომთავაზეს ერთთვიანი დასვენება-მეცადინეობა ჩეხოსლოვაკიის კურორტ კარლოვი-ვარიში, სადაც 9 ივნისს გავემგზავრებით გენადი კუზმინი, ვიტალი ცეშკოვსკი და დედაჩემი, რომლის ხელშეწყობა არასოდეს ყოფილა ზედმეტი. „გეორგიას" მესვეურები მატერიალურადაც დაგვეხმარნენ. ასეთი მამულიშვილური თანადგომა ბევრს მავალებს, მეც დიდ პასუხისმგებლობას ვგრძნობ.

**— მერე კიდევ ორი თვე რჩება მატჩამდე.**

— ამ პერიოდში ვაპირებ ვაჟთა საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობას, ანდა რომელიმე დიდოსტატ ვაჟთან საწვრთნელი მატჩის თამაშს. ცხადია, სპონსორი დამჭირდება. ჭადრაკის საკავშირო ფედერაცია აღარ მონაწილეობს ჩემს მომზადებაში.

**— ესე იგი მანილაში საქართველოს სახელით იასპარეზებთ?**

— დიახ. ზემოთ საბერძნეთი რომ ვახსენე, იქ ჩემთან ერთად იყვნენ საქართველოს სპორტის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე ბატონი ჯანსულ ბაგრატიონი და ფიდე-ს ქალთა კომისიის თავმჯდომარე, დიდოსტატი ნანა ალექსანდრია. ჩვენ თვით ფიდე-ს პრეზიდენტმა მიგვიწვია საბერძნეთში, რაკი თავად ვერ შეძლო თბილისში ჩამოსვლა. საუბარი გვქონდა ფიდე-ს წევრად საქართველოს მიღების თაობაზე. ალმასკომზე ითქვა: ვიდრე საქართველოში არ გაირკვევა პოლიტიკური სიტუაცია, ფიდე ვერ მიიღებს მას თავის რიგებში. აქედან გამომდინარე, ჩემს მაგიდაზე მანილაში არ დაიდგმება საქართველოს ალამი. მე, რა თქმა უნდა, საბჭოთა კავშირის დროშით არ გამოვალ. ფლორენსიო კამპომანესმა გვითხრა, რომ მატჩამდე კიდევ ბევრი დროა და ამ საკითხს კიდევ დავუბრუნდებითო.

**— ხომ არაფერი უთქვამს ფიდე-ს პრეზიდენტს ნონას საიუბილეო ტურნირზე?**

— მოიწონა მისი გამართვა. დასძინა, რომ ეს პირველი შეჯიბრება დიდოსტატი ქალებისა და ვაჟების მონაწილეობით ტრადიციად უნდა ვაქციოთ. ამჟამად მსოფლიოში საკმაოდ გვყავს ვაჟთა შორის დიდოსტატისა და ოსტატის წოდებების მქონე ქალები. მან დიდი ქებით მოიხსენია ქართველი დიდოსტატი ქალები. თქვა, რომ საქართველო და მისი მოჭადრაკეები ფიდე-ს დამამშვენებელნი არიანო.

ესაუბრა
**თენგიზ გიორგაძე**

# სრულიად საქართველოს

## ავადმყოფ და ინვალიდ ბავშვთა მკურნალობის ხელშემწყობი საზოგადოება მოგიწოდებთ!

**მეგობრებო!** უპირველესად, ულრმეს მადლობას მოგახსენებთ იმ დიდი მხარდაჭერისათვის, რომელიც გამოიჩინეთ ჩვენი საზოგადოებისა და ავადმყოფი ბავშვებისადმი. თქვენი მრავალრიცხოვანი წერილებისა თუ პირადი გამოხმაურებების გამო ჩვენ ალბათ გვაქვს მორალური უფლება თქვენი ნება განვახორციელოთ, ხოლო ის ადამიანები, ვინც პირდაპირ თუ არაპირდაპირ შეეწივნენ ამ საქმეს, კეთილი სიტყვითა თუ რეალური დახმარებით მხარში ამოგვიდგნენ, გვინდა საზოგადოების წევრებად ჩავთვალოთ.

მაშ ასე, დადგა „ჟამი ქვათა შეკრებისა". დაფუძნების მომქანცველი მარათონი უკან დარჩა. „ივერთბანკში" გახსნილია საზოგადოების ანგარიში. ანგარიშის № 000161700 (700200), „ივერთბანკი", კოდი 521921, საქართველოს ავადმყოფ და ინვალიდ ბავშვთა მკურნალობის ხელშემწყობი საზოგადოება „იმედი". ახლა საჭიროა მისი შევსება, შევსება არა ბუტაფორიული, სიმბოლური თანხით, არამედ რეალურით, რომელსაც აუცილებლად შეადგენს ყოველი თქვენგანის მიერ ნებაყოფლობით გაღებული 1 მანეთი. დღევანდელი უმძიმესი ინფლაციის პირობებში ეს თანხა საკმარისი იქნება მხოლოდ იმისათვის, რომ წელიწადში 10-15 ბავშვი საზღვარგარეთ საჭკურნალოდ გავგზავნოთ და მათი სიცოცხლე გადავარჩინოთ, აგრეთვე შევიძინოთ ორი კომპლექტი უცხოური სამედიცინო აპარატურა. ვინ იცის, იქნებ მეტიც... ეს თქვენზეა დამოკიდებული.

მთავარია, დროულად და ორგანიზებულად მოხდეს შემოწირულობათა გადმორიცხვა. მივმართავთ ყველას, საწარმო-დაწესებულებათა, ორგანიზაციათა, კოოპერატივთა და მცირე საწარმოთა ხელმძღვანელებს და ბუღალტრებს.

ბატონებო! თქვენს მხრებზე უნდა გადაიაროს ამ საქმის ორგანიზებამ. თქვენ დროულად უნდა გამოავლინოთ კოლექტივის ყოველი წევრის ნება-სურვილი, თუნდაც საერთო კრების მეშვეობით.

უნდა აღრიცხოთ შემოწირულობანი ყველა თქვენგანისათვის ცნობილი და მარტივი ავტომატური წესით და შეგროვილი თანხა გადმორიცხოთ არსებულ ანგარიშზე. მოდით, ნუ დაიზარებთ ამას, ნუ იქცევა ეს „შეუმჩნეველ ლხინად" და „თავის ატკივებად". თავი ხომ ყველამ უნდა ავიტკიოთ, რამეთუ ამქვეყნად არაფერია უფრო ძვირფასი და ძვირადღირებულიც, ვიდრე უმწეო ბავშვის სიცოცხლე, და კიდევ, ჩვენი სინდისი. გაჭირვებაში ხომ ყველაზე მეტად გამოვლინდება ერის სასიცოცხლო ენერგია.

საზოგადოების გამგეობის სახელით:

**ირმა სოხაძე,
კახა დავითური,
მამუკა ჟიღლაძე.**

**3.06.91 წ.**

P. S. საზოგადოების კოორდინატებს დამატებით გაცნობებთ.


## ამერიკა — საბჭოთა კავშირის ფირმა „აპოლო" ერთობლივად ფირმა „ჭრემთან"

**აცხადებს მიღებას კოსმეტოლოგიის 25-დღიან საერთაშორისო კურსებზე.**

კურსების ძირითადი მიზანია, საქართველოში მომზადდეს მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტები კოსმეტოლოგიის დარგში, რომელთაც კურსებზე მიღებული ცოდნა საშუალებას მისცემს წარმატებით იმუშაონ არა მარტო საქართველოში, არამედ საზღვარგარეთის წამყვან ქვეყნებშიც.

კურსებს წარუძღვებიან მაღალი კვალიფიკაციის ექიმ-კოსმეტოლოგები.

კურსების ბოლოს მსმენელებს მიეცემათ საერთაშორისო კატეგორიის სერტიფიკატები უცხოეთში მუშაობის უფლებით და მიენიჭებათ საერთაშორისო კატეგორიის კოსმეტოლოგის წოდება.

სწავლების ორიგინალური მეთოდიკა საშუალებას იძლევა კოსმეტოლოგიის დარგში გამოცდილების არქონის შემთხვევაშიც კი მსმენელებმა სრულყოფილად აითვისონ კოსმეტოლოგიის საფუძვლები.

ფირმა აწარმოებს სამედიცინო-კოსმეტოლოგიურ საქმიანობას საზღვარგარეთის მთელ რიგ ქვეყნებში. კურსების ყველა მსმენელი ჩარიცხული იქნება ფირმის მიერ ე. წ. სარეზერვო ჯგუფში, სადაც მათი მონაცემები გათვალისწინებული იქნება ფირმის საქმიანობაში უცხოეთის ქვეყნებში.

აღნიშნული კურსების ჩატარებისა და საერთაშორისო სერტიფიკატების გაცემის საკითხი შეთანხმებულია საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციუზრუნველყოფის სამინისტროსთან.

მეცადინეობა დაიწყება ა. წ. 20 ივნისიდან. მსმენელთა რიცხვი შეზღუდულია.

ცნობებისათვის მიმართეთ: თბილისი, ქავთარაძის ქ. № 16, მე-2 საავადმყოფო-პოლიკლინიკა. ტელ: 31-17-87, 73-10-20.

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

# ასე აღარ უნდა გაგრძელდეს...

განვლილ, XV ტურში განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა მატჩი ხაშურში, სადაც ადგილობრივი „ივერია“ გათამაშების ერთპიროვნულ ლიდერს — თბილისის „იბერიას“ ხვდებოდა. თითქოსდა, რა განსაკუთრებული ინტერესი უნდა გამოეწვია ერთ-ერთი აუტსაიდერისა და ერთპიროვნული ლიდერის შეხვედრას, მაგრამ, სამწუხაროდ, როგორც ძალზე ხშირად ხდება ამ ბოლო დროს ეროვნულ ჩემპიონატში, ამ მატჩის ირგვლივ რაღაც არასასიამოვნო აჟიოტაჟი იყო შექმნილი...

საბედნიეროდ, წინდაწინვე უნდა ვთქვათ, რომ ყველაფერმა მშვიდობიანად ჩაიარა და არავითარ სერიოზულ დარღვევებს ადგილი არა ჰქონია. პირდაპირ საოცარია, ალბათ, რომ უკვე გვიჭირს ამა თუ იმ შეხვედრის ნორმალურ და ჭეშმარიტ საფეხბურთო ვითარებაში ჩატარება. ეს კი, დაგვეთანხმებით, არც თუ ისე კარგი ცხოვრების (საფეხბურთოსი, რა თქმა უნდა) ბრალია. ასეა თუ ისე, საქართველოს 1991 წლის საგაზაფხულო ჩემპიონატი გრძელდება და თითოეულ მოპოვებულ ქულას, ლიდერი იქნება თუ აუტსაიდერი, დიდი მნიშვნელობა აქვს — ფინიშამდე ხომ მხოლოდ ხუთი ტურიღა დარჩა.

თბილისის „იბერიამ“ კი კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა ოქროს მედლებისაკენ და თუ რაიმე სასწაული არ მოხდა, ალბათ, ზედიზედ მეორედ დაეუფლება საქართველოს ჩემპიონის სახელსაც. ასე ხმამაღლა ამის თქმის საბაბს „იბერიის“ გააზრებული და, რაც მთავარია, მაღალ საშემსრულებლო ოსტატობაზე აგებული თამაში იძლევა. ასე იყო ხაშურშიც, სადაც „იბერიას“ ორი ტაიმის განმავლობაში სრული ტერიტორიული და სათამაშო უპირატესობა გააჩნდა. უკვე მატჩის პირველი წუთებიდანვე თბილისელთა შეტევის ლიდერმა თემურ ქეცბაიამ ზედიზედ ორჯერ დაარტყა მეტად სახიფათოდ მეტოქის კარისკენ, მაგრამ, ორივე შემთხვევაში, ადგილზე იყო „ივერიის“ მეკარე ალგიმანტას ბრიაუნისი. ფეხბურთის მოყვარულებს შევახსენებთ, რომ ლიტველი მეკარე შარშან შემოდგომაზე გადმოვიდა ხაშურელთა გუნდში და აი, უკვე მეორე სეზონია, რაც ბრწყინვალედ ატარებს შეხვედრებს. ასე იყო ამ თამაშშიც და რომ არა მისი შესანიშნავი რეაქცია, ანგარიში, ალბათ, მისი გუნდისათვის ნამდვილად კატასტროფული იქნებოდა.

ასევე გვინდა, გამოვყოთ „ივერიის“ რიგებში მეორე მოწვეული ფეხბურთელიც — ვალერი კისელიოვი, რომელმაც საკმაოდ მახვილგონივრული თამაშით დაგვამახსოვრა თავი, თუმცა, მეორე ტაიმში მისი თამაში აშკარად გაუფერულდა და რაშიც „ბრალი“, ვფიქრობთ, თბილისელთა ნახევარმცველებს მიუძღვით.

პირველი გოლი თბილისელებმა 28-ე წუთზე გაიტანეს, როდესაც გია ჯიშკარიანმა საჯარიმო დარტყმით საკმაოდ ეფექტური ბურთი გაიტანა ხაშურელთა კარში. აღსანიშნავია, რომ „იბერიის“ და, საერთოდ, საქართველოში ერთ-ერთი საუკეთესო მარცხენა ნახევარმცველი გია ჯიშკარიანი ამ შეხვედრაში პირველად გამოვიდა კაპიტნის სამკლაურით და ღირსეულადაც ჩაატარა ეს შეხვედრა. იგივე შეიძლება ითქვას „იბერიის“ ცენტრალურ მცველზე მამუკა მაჭავარიანზე, რომელმაც თითქმის უშეცდომოდ ითამაშა ისეთ საპასუხისმგებლო ადგილზე, როგორიც უკანა მცველის პოზიციაა. პირველი ტაიმის მიწურულს „იბერიას“ ანგარიშის გაზრდის რეალური შანსი მიეცა, მაგრამ მიხეილ ყაველაშვილისა და ალგიმანტას ბრიაუნისის „დუელი“ ამ უკანასკნელის გამარჯვებით დასრულდა. რაც შეეხება ხაშურელთა შეტევებს, უნდა ითქვას, რომ მათ მხოლოდ ერთხელ მოსინჯეს ნიკოლოზ ჩხეიძის ოსტატობა, მაგრამ „ივერიის“ საკმაოდ აქტიური მარცხენა მცველის ვახტანგ ჭანტურიძის სახიფათო დარტყმა მეკარემ კუთხურზე მოიგერია.

მეორე ტაიმი „ივერიის“ სახიფათო შეტევით დაიწყო და ნიკოლოზ ჩხეიძემ კვლავ კუთხურზე მოგერიებით განმუხტა ეს დაძაბული მომენტი. თუმცა, ეს იყო და ეს — ამის შემდეგ მასპინძლებს არა თუ რეალური საფრთხე, არამედ მეტოქის საჯარიმომდეც არ შეუღწევიათ... „იბერიის“ იერიშებს ბოლო არ უჩანდა და მათ უამრავი საგოლე მომენტიც შექმნეს, მაგრამ კვლავ შეუცდომლად თამაშობდა ბრიაუნისი. კახი კაჭარავას, გელა ინალიშვილის, მიხეილ ყაველაშვილის დარტყმებს კვლავ წინ ეღობებოდა ხაშურელთა კარის დარაჯი. ერთ შემთხვევაში კი, მიხეილ ყაველაშვილის გარღვევის შემდეგ ძელმა იხსნა „ივერიის“ კარი. თუმცა, ერთ შემთხვევაში, ბრიაუნისი უძლური აღმოჩნდა რაიმეთი დახმარებოდა თავის გუნდს — მალხაზ არზიანის ზუსტი გადაცემის შემდეგ ზაზა რევიშვილმა შეუჩერებლად, მეკარისაგან ახლო მაღალ კუთხეში კვლავ ეფექტური ბურთი გაიტანა. საერთოდ, მთლიანობაში, „იბერიის ნახევარმცველებმა და თავდამსხმელებმა თავიანთი ხშირი გადაადგილებებით და კომბინაციური თამაშით ბევრი თავსატეხი გაუჩინეს მეტოქის მცველებს, რომელთაგან, ალბათ, აღნიშვნის ღირსიც არის ლევან ცხოვრებაშვილი. სწორედ ეს ფეხბურთელი და მეკარე ბრიაუნისი ცდილობდნენ ორგანიზებულად ეთამაშათ, მაგრამ „იბერიის“ შეტევებთან მხოლოდ ორი ფეხბურთელის წინააღმდეგობის გაწევა, თავისთავად, საკმარისი არ არის. ალბათ, აქ შეიძლებოდა წერტილის დასმა, მაგრამ ერთ საკითხზე გვინდა შევჩერდეთ. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ხაშურში მატჩი ყოველგვარი ექსცესების გარეშე ჩატარდა და რაშიც, ვფიქრობთ, თავისი მოკრძალებული (თუ უფრო მეტი არა) წვლილი შეხვედრის არბიტრს სერგო კვარაცხელიასაც მიუძღვის, რომელმაც თავისთვის ჩვეული პრინციპულობით ჩაატარა არცთუ იოლი მატჩი. ჩვენი გულისტკენა კი კვლავ და კვლავ გულშემატკივრებს ეხება, ოღონდაც, იმ პირობით, თუ მათ ეს სახელი ნამდვილად შეეფერებათ... არადა, სასიამოვნო სანახავი იყო ხალხით გაჭედილი ხაშურის სტადიონი, მაგრამ, როგორც ყოველთვის, რამდენიმე ერთეული (კიდევ კარგი!) ვითომდა გულშემატკივარის საქციელმა ყველაფერი გააუფერულა. ვერაფრით ვერ გავიგეთ, თუ რა დაუშავეს ახალგაზრდა თბილისელმა ფეხბურთელებმა ზოგიერთ თავხედს, რომ მთელი მატჩის განმავლობაში მათგან მხოლოდ გინების კორიანტელი მოისმინეს. ნუთუ, ასე უნდა შევაფასოთ მეტოქის სიძლიერე?.. ეს მარტო ხაშურელ ქომაგებს არ ეხებათ, ასეა ბევრგანაც, სადაც „იბერია“ ჩადის... დარწმუნებული ვართ, ბევრი ოპონენტი გამოგვიჩნდება ამ სტრიქონების წაკითხვის შემდეგ, მაგრამ აუცილებლად უნდა განვაცხადოთ ხმამაღლა ის, რასაც უკვე მეორე სეზონია ვამჩნევთ. დიახ, ვატყობთ გარკვეულ ანტიპატიას (თანაც, სხვადასხვა წრეების მხრიდანაც) და სიძულვილსაც კი სულ ახლო წარსულში ჩვენი უპირველესი გუნდის მიმართ. ვერ გაგვიგია, თუ რით არის ცუდი, რომ გვყავდეს მაღალი კლასის გუნდი (ან გუნდები). განა ასე არ არის (ან არ იყო) მსოფლიოს რიგ წამყვან საფეხბურთო ქვეყნებში? იქ ხომ ყოველთვის რამდენიმე სუპერ-გუნდის წყალობით აღწევდნენ აღიარებას და მიღწევებს?... დაბოლოს, დავძენთ, რომ ქართველი გულშემატკივარი ყოველთვის ფეხბურთის დიდი ცოდნით გამოირჩეოდა და იმედია, ძლიერის შეფასებაც რეალურად უნდა შეეძლოს...

დასასრულ, გაგაცნობთ ჩვენს მიერ ზემოთ განხილულ მატჩში მონაწილე გუნდების შემადგენლობებს:

**„ივერია“**: ბრიაუნისი, რ. ნოზაძე, ცხოვრებაშვილი, მაღრაძე, ჭანტურიძე, ხარაზიშვილი, ქიმერიძე, კისელიოვი, მჭედლიშვილი, მღვდელაძე (ჯინჯარაული), რობაქიძე.

**„იბერია“**: ჩხეიძე, არზიანი, მაჭავარიანი, შელია, ჯიშკარიანი, რევიშვილი, ქეცბაია (შ.არველაძე), ჩიქოვანი, კაჭარავა, ყაველაშვილი, ინალიშვილი (ნემსაძე).

**გია ტუხაშვილი**
ჩვენი სპეციალური კორესპონდენტი

განცხადებები

## თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია

**აცხადებს მიღებას 1991-92 სასწავლო წლისათვის შემდეგ სპეციალობებზე:**

კომპოზიცია, მუსიკისმცოდნეობა, აკადემიური გუნდის დირიჟორობა, ფორტეპიანო, აკადემიური სიმღერა, საორკესტრო საკრავები (ვიოლინო, ალტი, ჩელო, კონტრაბასი, არფა, ფლეიტა, ჰობოი, კლარნეტი, ფაგოტი, სასვირი, ვალტორნა, ტრომბონი, ტუბა, დასარტყამი საკრავები), საესტრადო მუსიკალური ხელოვნება (კლასიკური გიტარა).

სწავლების ფორმა — წარმოებისგან მოწყვეტით (დღის დასწრებული). სწავლება წარმოებს ქართულ ენაზე.

მისაღებ გამოცდებზე დაიშვებიან ორივე სქესის მოქალაქენი 35 წლის ასაკამდე (ვოკალურ ფაკულტეტზე მიიღებიან ქალები 28 წლის ასაკამდე, ხოლო მამაკაცები — 33 წლის ასაკამდე), რომლებსაც აქვთ საშუალო განათლება.

კონსერვატორიაში შემსვლელებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები: განცხადება რექტორის სახელზე (ფორმა ივსება ადგილზე); საშუალო განათლების დოკუმენტის დედანი (ატესტატი, დიპლომი; საშუალო სამუსიკო სასწავლებლის კურსდამთავრებულნი დიპლომთან ერთად წარმოადგენენ დიპლომის დანართს); სამედიცინო ცნობა — ფორმა № 086; ამონაწერი შრომის წიგნაკიდან (მუშაობის სტაჟის მქონეთათვის); ექვსი ფოტოსურათი ზომით 3X4 სმ; პასპორტი (წარმოდგენილი უნდა იქნას პირადად).

კონსერვატორიაში შემსვლელები მისაღებ გამოცდებს აბარებენ შემდეგ საგნებში:

1. სპეციალობა (საკონკურსო საგანი). სპეციალობის საგამოცდო ციკლი რამდენიმე მაპროფილებელ საგანს შეიცავს, რომელთაგან თითოეული ცალკე ნიშნით შეფასდება.
2. ქართული ენა და ლიტერატურა (წაკითხულის შინაარსი — წერითი, საკონკურსო საგანი).
3. საქართველოს ისტორია — (ზეპირი, არასაკონკურსო საგანი).

ფაკულტეტების მიხედვით სპეციალობათა ციკლები შედგება შემდეგი გამოცდებისაგან:

**ფორტეპიანო**

1. სპეციალობა — საგამოცდო პროგრამის შესრულება;
2. მუსიკის თეორია — წერა (სოლფეჯიო, ჰარმონია);
3. კოლოკვიუმი.

**საორკესტრო საკრავები**

1. სპეციალობა — საგამოცდო პროგრამის შესრულება;
2. მუსიკის თეორია — წერა (სოლფეჯიო, ჰარმონია);
3. კოლოკვიუმი.

**აკადემიური სიმღერა**

1. სპეციალობა — საგამოცდო პროგრამის შესრულება (ორ ტურად);
2. მუსიკის თეორია — წერა (სოლფეჯიო, მუსიკის ელემენტარული თეორია);
3. კოლოკვიუმი.

**აკადემიური გუნდის დირიჟორობა**

1. დირიჟორობა — საგამოცდო პროგრამის შესრულება (ორ ტურად);
2. მუსიკის თეორია — წერა (სოლფეჯიო, ჰარმონია);
3. კოლოკვიუმი.

**კომპოზიცია**

1. სპეციალობა — მოცემულ თემაზე მცირე ფორმის ნაწარმოების შექმნა, საკუთარი ნაწარმოების წარმოდგენა;
2. მუსიკის თეორია — წერა (სოლფეჯიო, ჰარმონია);
3. კოლოკვიუმი;
4. ფორტეპიანო.

**მუსიკისმცოდნეობა**

1. მუსიკის თეორია — წერა (სოლფეჯიო, ჰარმონია);
2. მუსიკის თეორია — ზეპირი (სოლფეჯიო, ჰარმონია);
3. მუსიკის ლიტერატურა — წერა (რეფერატი);
4. კოლოკვიუმი;
5. ფორტეპიანო.

გამოცდებზე მიღებულია შეფასების 10-ქულიანი სისტემა, სადაც უმაღლესი შეფასებაა 10 ქულა, ხოლო 2 ქულა არადამაკმაყოფილებელ შეფასებად ითვლება, რომლის შედეგადაც აბიტურიენტი მისაღებ საკონკურსო გამოცდებს ეთიშება. ყველა ნიშანი მხოლოდ ციფრით იწერება (დამრგვალება ხდება ათეულების ფარგლებში).

ჩარიცხვა კონსერვატორიაში მოხდება შემსვლელთა მიერ მისაღებ გამოცდებზე დაგროვილ ქულათა რაოდენობის მიხედვით.

აბიტურიენტთა განაცხადი ნოტებით უზრუნველყოფის შესახებ არ მიიღება.

კონცერტმეისტერებზე განაცხადის მიღება იწარმოებს I ივნისიდან მიმღებ კომისიაში. აბიტურიენტს უფლება ეძლევა პირადად მოიყვანოს კონცერტმეისტერი.

საბუთების მიღება — 1 ივნისიდან 4 ივლისის ჩათვლით (გარდა კვირა დღეებისა) 10 სთ-დან 18 სთ-მდე, 4 ივლისს — 10 სთ-დან 16 საათამდე.

კონსულტაციები ჩატარდება ცხრილის მიხედვით 4 ივლისამდე.

მისაღები გამოცდები დაიწყება 6 ივლისიდან.

ღია კარის დღე ჩატარდება 2 ივლისს 12 სთ-ზე კონსერვატორიის მცირე დარბაზში.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება კონსერვატორიის მიმღებ კომისიაში. მისამართი: 380008, გრიბოედოვის ქ. 8. ტელ: 99-91-47 (3-42), 99-69-92.

## უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდის პროგრამა ინფორმატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის საფუძვლებში

**1. რა არის ინფორმატიკა, ინფორმაცია, კომპიუტერი, ალგორითმი, პროგრამა. ინფორმატიკა და გამოთვლითი ტექნიკა.**

**2. ზოგადი ცნობები კომპიუტერის შესახებ.**

პირველდაწყებითი ცნობები კომპიუტერის შესახებ, კომპიუტერის ძირითადი მოწყობილობები: პროცესორი, დისპლეი, კლავიატურა, მაგნიტური დისკო (ფირი), საბეჭდი მოწყობილობა (პრინტერი); მათი ფუნქციები და ურთიერთკავშირი მანქანის მუშაობის პროცესში;

მიკროკომპიუტერის ელემენტური ბაზა. ელემენტარული ლოგიკური სქემები: „არა“, „და“ და „ან“;

კომპიუტერის გამოყენების სფეროები და მისი როლი თანამედროვე საზოგადოებაში.

**3. ინფორმაცია და კომპიუტერი.**

ინფორმაციის ცნება;

ინფორმაცია და მისი საზომი ერთეული — ბიტი;

ინფორმაციის წარმოდგენა კომპიუტერში;

ინფორმაციის წარმოდგენის ორობითი ფორმის თავისებურებანი და უპირატესობანი;

სიდიდეები და მათზე მოქმედებები. სიდიდის სახელი და მნიშვნელობა. ცვლადი და მუდმივი სიდიდეები. მასივი. სიდიდეთა ტიპები: რიცხვითი, ტექსტობრივი, ლოგიკური.

არითმეტიკული და ლოგიკური გამოსახულებები;

სიდიდეებისათვის მნიშვნელობის მინიჭება;

კომპიუტერზე ამოცანის ამოხსნის ძირითადი ეტაპები.

**4. ალგორითმები:**

რა არის ალგორითმი. ალგორითმების მაგალითები. ალგორითმის შემსრულებელი;

ალგორითმის თვისებები: დისკრეტულობა, გასაგებობა, განსაზღვრულობა, შედეგიანობა;

ალგორითმის ჩაწერის ძირითადი ხერხები (სიტყვიერი, ცხრილური, ბლოკ-სქემით);

ალგორითმის ბლოკ-სქემა, ძირითადი ბლოკები;

ალგორითმის სტრუქტურული ტიპები: მიმდევრობითი, განშტოებადი და ციკლური;

ალგორითმის მარტივი და შედგენილი ბრძანებები.

**5. ამოცანების ამოხსნის ალგორითმები:**

მონაცემების დამუშავების ალგორითმი. მონაცემის აღწერა. სიდიდეების სახელებისა და ტიპების აღწერის დანიშნულება ალგორითმის შედგენის პროცესში;

ალგორითმის შესრულება მნიშვნელობათა ცხრილის შედგენით;

დამხმარე ალგორითმი და მისი გამოყენება;

ალგორითმის ეტაპობრივი აგება.

**საქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტრო**

აბიტურიენტს

## ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიმღები კომისია აცხადებს:

1. ჟურნალისტიკის სპეციალობაზე შემსვლელნი ვალდებულნი არიან მონაწილეობა მიიღონ შემოქმედებით კონკურსში.

2. ჟურნალისტიკის სპეციალობაზე შემსვლელმა აბიტურიენტებმა შემოქმედებით კონკურსში მონაწილეობის უფლების მოსაპოვებლად განცხადებასა და სხვა დოკუმენტებთან ერთად მიმღებ კომისიას უნდა წარმოუდგინონ მათ მიერ პერიოდულ პრესაში გამოქვეყნებული ან რადიოთი და ტელევიზიით გადაცემული მასალები არანაკლებ ხუთისა. პერიოდულ პრესაში გამოქვეყნებული მასალები წარმოდგენილი უნდა იქნეს ამონაჭერთა სახით (ფოტოპუბლიკაციების დუბლირება შეიძლება ორიგინალებით), რადიო და სატელევიზიო მასალები კი — სათანადო რედაქციის ხელმძღვანელის ხელმოწერითა და ბეჭდით დამოწმებული (მანქანაზე გადაბეჭდილი).

წარმოდგენილ მასალებს აფასებს ორი რეცენზენტი (პირველი — ჟურნალისტი — პრაქტიკოსი, მეორე — ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტის პედაგოგი). რეცენზენტებს ამტკიცებს უნივერსიტეტის რექტორი.

ის აბიტურიენტები, რომელთა ნაშრომები დაიმსახურებენ დადებით შეფასებას, სათანადო დასკვნის საფუძველზე დაიშვებიან შემოქმედებით კონკურსში მონაწილეობის მისაღებად. შემოქმედებით კონკურსს ატარებს საკონკურსო კომისია, უნივერსიტეტის წამყვანი პედაგოგებისა და გამოცდილი ჟურნალისტების შემადგენლობით.

შემოქმედებითი კონკურსი ტარდება ორ ტურად: პირველი წერითი სამუშაო, მეორე — გასაუბრება ტესტებით.

3. ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე შემსვლელთა საბუთები მიიღება 5 ივლისის ჩათვლით.

4. შემოქმედებითი კონკურსი ჩატარდება 6 ივლისიდან 12 ივლისამდე სპეციალურად დადგენილ ვადებში.

აბიტურიენტები, რომლებიც წარმატებით გაივლიან შემოქმედებით კონკურსს, დაიშვებიან მისაღებ გამოცდებზე.

ჟურნალისტთა კავშირის წევრები თავისუფლდებიან შემოქმედებით კონკურსში მონაწილეობისაგან.

**მიმღები კომისია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფეხბურთი მხოლოდ თამაში არ არის...

იზოლაციაში მყოფი ქართული ფეხბურთისათვის ყველანაირი კონტაქტები უცხოეთის კლუბებთან მართლაცდა სასარგებლო საქმეა. მნიშვნელობა არა აქვს მოყვარულებთან ექნებათ საქმე თუ პროფესიონალებთან — მთავარია მჭიდრო მეგობრული კონტაქტების დამყარება სხვადასხვა კონტინენტის ნებისმიერ წარმომადგენლებთან. სწორედ ასეთი მეგობრული ვიზიტით ესტუმრა საქართველოს ამ რამდენიმე ხნის წინათ ამერიკის ქრისტიან სპორტსმენთა ასოციაციის საფეხბურთო კლუბი „იგლზ" („არწივები") და რამდენიმე ამხანაგური მატჩი გამართა თბილისში. ჩვენ დაწვრილებით არ შევუდგებით ამერიკელი ფეხბურთელების მიერ გამართული სამივე შეხვედრის დეტალურად აღწერას, რადგანაც, ვფიქრობთ, რომ მათი ვიზიტი წმინდა სპორტული პრინციპის გარდა სხვა მიზნებსაც ისახავდა. ამ საკითხზე გვესაუბრებიან კიდევაც ამერიკელი ფეხბურთელების მასპინძლებიც.

**ზურაბ პეტრიაშვილი (საფეხბურთო კლუბ „მრეტების" პრეზიდენტი):** „იგლზ" სამოყვარულო გუნდია და ტურნეს მართავს ევროპაში. სანამ ჩვენთან ჩამოვიდოდნენ, იყვნენ პოლონეთში, უკრაინაში, მოსკოვში და აი, ახლა ჩვენი სტუმრები არიან. მოგეხსენებათ, ამერიკელები მოლხენილი ხალხია. ცხოვრებაც შესაბამისად მოწყობილი აქვთ და შეიკრიბნენ, უბრალოდ, ამერიკის 12 შტატის წარმომადგენლები და ტურნეც მოაწყვეს. საერთო კი გუნდში ის არის, რომ ყველა მათგანს ქრისტიანობა აერთიანებს და აქტიური მორწმუნენიც არიან. მთელმა დელეგაციამ ჩვენზე კარგი შთაბეჭდილება დატოვა, პირველ რიგში, იმით, რომ ყოველ წევრში თავისუფლების სული იგრძნობა (დამახასიათებელი თითოეული ამერიკელისათვის). თანაც, ძალიან ესიამოვნათ, როცა გაიგეს, რომ საქართველოში ქრისტიანობა მე-4 საუკუნიდან გვაქვს. მათ საჩუქრად ბიბლიებიც ჩამოიტანეს, თუმცა რუსულ ენაზე გამოცემული, მაგრამ, ვიმედოვნებთ, რომ შემდეგ ჩამოსვლაზე უკვე ქართულად ნათარგმნსაც მოგვაწვდიან.

**გიორგი მაკასარაშვილი (ახლო წარსულის ცნობილი მოჭიდავე):** ამერიკის შეერთებულ შტატებში უკვე საკმაო ხანია, რაც მოქმედებს ქრისტიან სპორტსმენთა კლუბი „ათლეტები მოქმედებაში", რომელშიც გაერთიანებული არიან ქრისტიანი სპორტსმენები. მათ შორის არის ისეთი სახელოვანი მძლეოსანი, როგორიცაა მსოფლიოს ყველა დროის ერთ-ერთი უძლიერესი სპრინტერი კარლ ლუისი. ამ კლუბს თითქმის ყველა ქვეყანაში გახსნილი აქვს თავისი წარმომადგენლობა და ერთ-ერთ ასეთ ფილიალს მოსკოვში სათავეში უდგას ყოფილი ამერიკელი მოჭიდავე კარლ დაბმენი. დაბმენთან მე კარგა ხნის მეგობრობა მაკავშირებს — ჯერ კიდევ 1980 წელს ერთად ვიყავით შეკრებაზე ჩეხოსლოვაკიაში. დაბმენმა ამ რამდენიმე ხნის წინათ დამირეკა და შემომთავაზა, რომ გვემასპინძლა ამერიკული გუნდისათვის. რა თქმა უნდა, ასეთ წინადადებაზე უარს როგორ ვიტყოდით და მეც, ჩემი მხრივ, საფეხბურთო კლუბ „მრეტებზე" შევაჩერე ყურადღება.

მასპინძლობა კი მართლაც ღირსეული გაუწიეს „მრეტებმა" და, ვფიქრობთ, ამერიკის სპორტული დელეგაციის არცერთი წევრი უკმაყოფილო თბილისიდან ნამდვილად არ წასულა. შეიძლება, ცოტა არ იყოს, მათ მიერ ჩატარებული სამივე მატჩის შედეგმა გაანაწყენონ, მაგრამ, კიდევ ვიმეორებთ, მათი ჩამოსვლის მიზანი ხომ სულ სხვა იყო. ამის ნათელი დადასტურებაც გახლავთ „იგლზის" მთავარი მწვრთნელის ბრაიან დავიდსონის სიტყვები, როდესაც ვთხოვეთ უფრო ახლოს გაეცნო, ქართველი გულშემატკივართათვის მათი გუნდი.

— ჩვენი „შტაბ-ბინა", — ამბობს ბრაიან დავიდსონი, — ქალაქ შარლოტაში მდებარეობს (ჩრდილოეთ კაროლინის [illegible] პირველ რიგში, ყველას ფეხბურთის სიყვარული და ქრისტიანული შემეცნება გვაერთიანებს. თითოეულმა ფეხბურთელმა ქრისტეს სიყვარულით უნდა იცხოვროს და, საერთოდ, ქრისტიან ფეხბურთელს ყოველთვის დიდი უპირატესობა აქვს თამაშის დროს. ქრისტიანი ფეხბურთელი არასდროს იქნება ეგოისტი — ის ყოველთვის სხვას უნდა ეხმარებოდეს... რა თქმა უნდა, ყოველთვის გამარჯვებაზე უნდა ვიზრუნოთ, მაგრამ თუ სასურველი შედეგი მიღწეული ვერ იქნა, ამას არავითარი მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს. მთავარია, რომ თამაში სიამოვნებას გვანიჭებდეს... რაც შეეხება ამერიკელებსა და ქართველებს, აქ ძალიან ბევრი საერთო გაგვაჩნია. — ფეხბურთის სიყვარული იქნება ეს თუ ერთმანეთთან ურთიერთობის შემდგომი გაღრმავების სურვილი და, რაც მთავარია — ორივენი ქრისტიანები ვართ...

**სოფიკო კერძაია**

# ყურადღება!

ა. წ. 10 ივნისიდან საქართველოს რესპუბლიკის სახალხო მედიცინის ფონდი და კპ. „ჰასტროჰემატოლოგი" ანახლებენ მსმენელთა მიღებას ექსტრასენსორული მეთოდით მკურნალობის შესასწავლად. ბიომონაცემს გაიზომავთ ჩვენთან. იმ პირებს, ვისაც ორგანიზმში აღმოგაჩნდებათ ბიოველის მომატება და გექნებათ სურვილი შეისწავლოთ თუ რა ფენომენია იგი (რადგან ბიოველის მომატება იწვევს ადამიანის მგრძნობელობის მომატებას და შემდგომში შიზოფრენიასაც კი), შეგიძლიათ დარჩეთ ჩვენი ლექციების მოსასმენად, რომელსაც კითხულობს ბატონი **გივი ალაზნისპირელი.**

სწავლება ერთთვიანია. გადასახადით, მაგრამ პირველი სამი ლექციის მოსმენა შეუძლია ყველა ამ საკითხით დაინტერესებულ პირს ყოველგვარი გადასახადის გარეშე. გაძლევთ რა საშუალებას გაერკვეთ, ხართ თუ არა მზად სენსორიკულ სამყაროსთან გასათვიცნობიერებლად.

ჩვენთან, თქვენ გექნებათ საშუალება გარდა ექსტრასენსის მოწმობის მიღებისა, საფუძვლიანად შეისწავლოთ „უკონტაქტო" ბიომასაჟი (ხელების მოძრაობებით მკურნალობა პაციენტის სხეულის შეუხებლად), ფსიქოთერაპია და გაიგოთ სამკურნალო ჰიპნოზის ზოგიერთი საიდუმლო. ბატონი გივი დაგეხმარებათ გაერკვეთ აგრეთვე თუ რა არის „მესამე თვალი" და თქვენი თანხმობის შემთხვევაში ხელოვნურად აგიხელთ მას სულ მცირე დროში.

ლექციები ტარდება ორშაბათობით, ოთხშაბათსა და პარასკევობით 18.00 საათიდან თერაპიის ინსტიტუტის V სართულზე. შეგახსენებთ, რომ ჩვენს ლექციებზე დიდი დრო ეთმობა „ინ" და „იან" საწყისების შესწავლას და მათ შემდგომ გამოყენებას კვებით მკურნალობის დროს.

დამატებითი ცნობებისათვის შეგიძლიათ დარეკოთ: 51-68-60 ან 38-41-92. იკითხავთ ლინას (დარეკეთ საღამოს საათებში).

დიღმის მასივში გამოსამგზავრებლად, სადაც ჩვენი ინსტიტუტი მდებარეობს გამოიყენეთ ტრანსპორტი:

ავტობუსი: № 1, 43, 53, 60, 151, 158, 217.

სამარშრუტო ტაქსები: № 6, 7, 41, 44, 61.

ტროლეიბუსი: № 19.


**კოლექციონერთა და სახვითი ხელოვნების მოყვარულთა საყურადღებოდ!**

გეპატიჟებით ა.წ. 11 ივნისს კომერციულ გალერეაში,

**მანანა გორდელის და ლევან ლალიძის**

ნამუშევრების

**გამოფენა-გაყიდვაზე.**

(რუსთაველის გამზირი 7, მხატვრის სახლი, II სართ. ტელ.93-20-42).



თბილისის უნივერსალურ ბირჟასთან

ფუნქციონირებას იწყებს

უძრავი ქონების ბირჟა

რომელიც იურიდიულ და კერძო პირებს

შუამავლობას გაუწევს

სახლის
ბინის
აგარაკის
მიწის ნაკვეთის
გარაჟის
საწარმოო ფართის
და სხვა უძრავი
ქონების



ყიდვა-გაყიდვაში
გაცვლაში
იჯარით აღება-
გაცემაში
გაქირავებაში



ზემოთ ჩამოთვლილი ოპერაციათა ჩატარების მსურველებმა მიმართონ თბილისის უნივერსალურ ბირჟას მისამართით:
თბილისი, რესპუბლიკის მოედანი, ცენტრი "სავანე". ტელ. 98-48-17

"მოგვმართეთ თქვენი პრობლემებით - თბილისის უნივერსალური ბირჟა გადაჭრის მათ !



თბილისის

უნივერსალური

ბირჟა

**აქციონერთა და მსურველთა საყურადღებოდ!**

ა. წ. 15-დან 30 ივნისამდე აწყობს სემინარს თემაზე: „საბირჟო ოპერაციები და ბიზნესი მსოფლიო ბაზარზე".

სემინარს გაუძღვებიან მაღალკვალიფიციური მიწვეული უცხოელი სპეციალისტები.

სემინარის თემატიკა მრავალფეროვანი იქნება, რაც საშუალებას მოგცემთ შეისწავლოთ: სანედლეულო, საფონდო, სავალუტო ბირჟებისა და საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის საფუძვლები.

მსმენელებისათვის ყველა პირობა იქნება შექმნილი ნაყოფიერი მუშაობისა და დასვენებისათვის.

თბილისის უნივერსალური ბირჟის აქციონერებისათვის სწავლება უფასოა, ხოლო სხვა დანარჩენ მსურველთათვის მისი ღირებულება 3500 მანეთი.

სემინარში მონაწილეობის მიღება, თქვენი კვალიფიკაციის ამაღლებისა და კომერციულ საქმიანობაში წარმატების საიმედო გარანტი იქნება.

დამატებითი ცნობებისათვის მიმართეთ თბილისის უნივერსალურ ბირჟას მისამართით:

თბილისი, რესპუბლიკის მოედანი, ცენტრი „სავანე". ტელ: 98-48-17.

# ღორძინება რგო

გვერდის სპონსორები არიან საქართველოს [illegible] „[illegible]“ და ასევე [illegible] ფირმა „არგო“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფირმა „ჰუმანიზმი“
ფილარმონიის დიდი საკონცერტო დარბაზი
9 ივნისი
მრავალრიცხოვან მაყურებელთა თხოვნით
მხოლოდ ერთი დღით

## სიცილის საღამო

მონაწილეობენ: გურამ გეგეჭკორი, მზია კვირიკაშვილი, მამუკა კიკალეიშვილი, ირინე ირემაშვილი, ოთარ რამიშვილი, ელენე ყიფშიძე, ირაკლი უჩანეიშვილი, ავთო შარვაძე, მანანა თოდაძე, მედეა ძიძიგური, ირმა სოხაძე;

ანსამბლები: „ორერა“, „ოთხი გია“, „მხოლოდ შენ ერთს“, „ტიტები“;

სატირისა და იუმორის თეატრები: „ანშლაგი“, „სატირონი“;

ზურაბ ვადაჭკორია, თემურ თათარაშვილი, ბესიკ კალანდაძე, თემურ ყვითელაშვილი, მაია ჯაბუა, გია სურამელაშვილი, ლაშა ნარჩემაშვილი, ობოლა ციმაკურიძე, შოუ-ბალეტი „მისტერ-X“, სამეჯლისო ცეკვების ანსამბლი „თელა“.

შოუ-კონცერტის სპონსორია ფირმა „არგო“.

შემოსავალი მოხმარდება ქველმოქმედებას.

, დასაწყისი 19 საათზე.

ბილეთები იყიდება ფილარმონიის სალაროებში.

---

დახმარებას გთავაზობთ ალტერნატიული და არატრადიციული მეთოდით
მკურნალობის ცენტრი

## „იადაგარ დაუდი“

მობრძანდით, აქ მაღალკვალიფიციურ დახმარებას გაგიწევენ ექსტრასენსები, ფიტოთერაპევტები, მასაჟისტები, რომლებიც წარმატებით მკურნალობენ: ღვიძლის, კუჭ-ნაწლავის, თირკმელის, სახსრების, ხერხემლის, გულ-სისხლძარღვთა დაავადებებს, ნერვული სისტემის, თვალის, ყელ-ყურ-ცხვირის, უროლოგიურ, გინეკოლოგიურ, სწორი ნაწლავის, კბილისა და ღრძილის დაავადებებს.

სამკურნალო ცენტრ — **„იადაგარ დაუდში“** მუშაობენ ზუსტი დიაგნოზის დასმით და ბიოენერგოთერაპიული სამკურნალო სეანსებით, აგრეთვე სამკურნალო ბალახებით. მოსკოვის სახალხო მედიცინის და საბჭოთა კავშირ, ამერიკა — კანადის ერთობლივი ფირმა „გუდბაის“ მიერ დიპლომირებული ექსტრასენსები.

ექსტრასენსი — **მერი დვალიშვილი** მკურნალობს შემდეგ დაავადებებს: საჭდომი ნერვის ანთება, ნევროზს და უძილობას, რადიკულიტს, ოსტეოქონდროზს, უნებლიე შარდვას, ღვიძლს, ნაღვლის ბუშტს და ელენთას, ვენების გაგანიერებას, შარდის შეხუთვას, პროსტატას და პროსტატიტს, სმენის დაქვეითებას.

ფიტოთერაფევტი — **იზოლდა ჩერქეზიშვილი** ფარმაკოპეაში მაღალეფექტური სამკურნალო მცენარეებით მკურნალობს: ღვიძლს, კუჭ-ნაწლავის, თირკმელის, პროსტატის, ღრძილების დაავადებებს, ბუასილს, თმის ბუდობრივ ცვენას, მასტოპატიას.

მაღალი ეფექტური ბიოველითა და წერტილოვანი მასაჟით ექსტრასენსი **ირინა ჯულელი** მკურნალობს: რადიკულიტს, ოსტეოქონდროზს, ნაღვლის ბუშტის ანთებას, ნევროზს, შიდა ქალის წნევის მიერ გამოწვეულ თავის ტკივილებს, უნებლიე შარდვას ბავშვებში, საკვერცხეების ანთებას, ცისტიტს, ტროფიკულ წყლულს და კისტას.

ფიტოთერაპევტი — **ნაზი ლომიძე** ბიოველით და ბალახეული წამლებით (შავ ღვინოზე დამზადებული) მკურნალობს: თავის ტკივილებს, ინფარქტგადატანილ ავადმყოფებს, იშიაზს, ბრონხიალურ ასთმას, სიყვითლეს, კენჭოვან და ჩირქოვან დაავადებებს, ვენების შევიწროვებას.

ექსტრასენსი — **ნინო ავალიანი** ბიოველით და მედიტაციის დახმარებით მკურნალობს შემდეგ დაავადებებს: მწვავე და ქრონიკულ ბრონქიტს (ბავშვებში), თავის ქალის შიდა წნევას, ნევროზს, ჩვილ ბავშვთა სამშობიარო ტრავმებს, ენურეზს (უნებლიე შარდვა ბავშვებში) საერთო სისუსტეს, შიშებს, სმენის დაქვეითებას, შაკიკს.

ექსტრასენსი — **ირმა ფსუტური** მკურნალობს: ბრონქიალურ ასთმას, უძილობას, ნევროზს, შიშებს, მენისკს, სახსრების ანთებას, სმენის დაქვეითებას, შარდის შეუკავებას, ყურის ტკივილს, ალერგიას, ჰაიმორიტს, შაკიკს.

**„იადაგარ დაუდში“** აგრეთვე მუშაობენ მასაჟის და მანუალური თერაპიის სპეციალისტები: **გოგი ალავიძე** და **გარი ჭალანდაძე**, რომლებიც მკურნალობენ: სახსრების დაავადებას, რადიკულიტს, კისრის რადიკულიტს და სკოლეოზს. საერთო მასაჟით ხდება წონის დაკლება.

ცენტრში ფუნქციონირებს **მწვანე აფთიაქი**, სადაც შეგიძლიათ შეიძინოთ სამკურნალო მცენარეებით დამზადებული წამლები.

მობრძანდით სამკურნალო ცენტრ „იადაგარ დაუდში“ აქ მომუშავე ყველა თანამშრომელმა კარგად იცის, რომ დადებითი ემოციები და რწმენა განკურნების აუცილებელი პირობაა.

მიღება ხდება მხოლოდ წინასწარი ჩაწერით.
მისამართი: თბილისი, გალაკტიონის ქ. 33ნ
ტელეფონი 99-75-79.

---

იყიდება
ჩეხური პიანინო „პეტროფი“
ტელ: 62-47-79

---

ვყიდი
აგარაკს 600 კვ. მ. ფართით მუხიანის დასახლებასთან, ბენდელიანის ქ. №44, მელაძე (პირველ სამშობიაროსთან).
დამატებითი ცნობებისათვის დარეკეთ ტელეფონზე: 31-23-86

---

ვყიდი
მხატვრულ, მედიკო-ბიოლოგიურ, ფიზიკო-ქიმიურ, კიბერნეტიკულ და ენციკლოპედიურ ლიტერატურას. ცნობებისათვის დარეკეთ ტელ: 23-25-42

---

ვაქირავებ
50 კვ. მ. ფართის ნახევარსარდაფს საყოფაცხოვრებო კოოპერატივისათვის (გარდა კვებისა).
ტელ: 38-64-54

---

## იყიდება ფრანგული მანქანა რენო 20 TS

1980 წლის სპეცგამოშვება. საჭე ჰიდროგამაძლიერებლით, სტარტერი ავტომატური, გადაცემათა კოლოფი მექანიკური. გავლილი აქვს მხოლოდ 110 000 კმ. საჭე მარცხენა მხარესაა, მინები მოძრაობს ავტომატურად. შეძენა შეგიძლიათ როგორც ნაღდ ფულზე, ისე გადარიცხვით. გთხოვთ, დარეკოთ ტელეფონზე 71-81-23. ყოველდღე

---

## ვიზების სათარგმნელად

მიმართეთ ფირმა „ჰუმანიზმის“ სერვის ბიუროს. ვიზების თარგმნა და დამოწმება ხდება ერთ დღეში. უცხოეთში წამსვლელებს შეუძლიათ მიიღონ შესაბამისი ანკეტები და ვიზების ქსეროასლები.

შეკვეთები მიიღება ყოველდღე გარდა კვირისა 10-დან 19 საათამდე.

მისამართი: ვახუშტი ბაგრატიონის №9 (მეტრო „წერეთელთან“).

---

მცირე საწარმო **„ესთეტი“** ცვლის 4 ტონა შავი ფერის დაბალი წნევის პოლიეთილენის მასალას 3 ტონა თეთრი ფერის ანალოგიურ მასალაზე.

ცნობებისათვის მიმართეთ მისამართზე: **ალ. ყაზბეგის პრ. № 44.**

**ტელეფონი: 39-48-27.**

---

## კოოპერატივ „არმაზი-88“-ის ხელისმომწერთა საყურადღებოდ!

12 ივნისიდან დაიწყება სხვადასხვა ავტორთა ათტომეულის პირველი წიგნის („ახალგაზრდა ცოლ-ქმრის ენციკლოპედია“) გაყიდვა. გაყიდვა იწარმოებს კოოპერატივის რეალიზაციის განყოფილებაში მისამართზე: მეტრო „სამედიცინო ინსტიტუტი“. წიგნის ღირებულებაა 6 მანეთი.

საფოსტო გზავნილით ხელისმომწერლებმა 6მან. 80კაპ. (80კაპ. ფოსტის მომსახურების ხარჯებია) უნდა გადმორიცხოთ კოოპერატივის საანგარიშსწორებო ანგარიშზე №400461470, კოდი 521664 თბილისის ბინსოცბანკის საბურთალოს განყოფილებაში, გადაიღოთ ქვითრის ასლი და გამოაგზავნოთ კონვერტით თქვენი მისამართის ჩვენებით კოოპერატივის მისამართზე: 380004, თბილისი-4, სააბონენტო ყუთი 135 — „არმაზი-88“. გადმორიცხული თანხის ბანკში ჩვენს ანგარიშზე მოხვედრისთანავე წიგნი გადმოგეგზავნებათ ფოსტით.

საფოსტო გზავნილით ხელისმომწერლებს, სურვილისამებრ, შეუძლიათ პირადად მოვიდნენ რეალიზაციის განყოფილებაში, წარმოადგინონ 10 მანეთიანი ქვითარი, გადაიხადონ წიგნის ღირებულება და ადგილზე მიიღონ წიგნი.

წიგნის გაყიდვა იწარმოებს ყოველდღე, კვირის გარდა. 11.00-დან — 19.00 საათამდე, შესვენება 15.00-დან — 16.00 საათამდე.

კოოპერატივის გამგეობა

---

იყიდება
ახალი ვიდეოკამერა M-7 და ვიდეო მაგნიტოფონი G-50.
მსურველებმა დარეკონ ტელეფონზე: 39-86-34

---

ვიყიდი
ერთ ან ოთხნაპევრიან იზოლირებულ ბინას ვარკეთილში ან ვაზისუბანში.
ცნობებისათვის დარეკეთ ტელეფონზე: 73-25-90

---

იყიდება
იაპონური ახალი საქსოვი მანქანა „ტოიოტა“.
დარეკეთ ტელეფონზე: 60-50-83

---

ვცვლი
ოროთახიან იზოლირებულ ბინას ლოჯითა და ტელეფონით სამტრედიიდან თბილისში ერთ ან ოროთახიან ბინაზე.
ცნობებისათვის დარეკეთ: 39-02-47

---

**ფირმა „ბაზილიკა“-ს ესაჭიროება გამყიდველები.**
**ცნობებისათვის დარეკეთ 17⁰⁰ საათიდან 20⁰⁰ საათამდე**
**ტელეფონზე: 22-20-80**

---

## ორგანიზაციებს, კოოპერატივებს, კერძო პირებს!

თუ გაქვთ სურვილი, რომ თქვენი შენობა-ნაგებობის გარე იერი, შიგა ინტერიერი მხატვრულად მაღალ დონეზე იყოს გაფორმებული, მიმართეთ ასოციაცია „მზისა“-ს.

დაინტერესებულ პირებს, რომელთაც აქვთ საკუთარი სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია და სურთ მისი რეალიზაცია ან ამ პროდუქციის ბაზაზე მცირე საწარმოს შექმნა, მიაკითხონ ასოციაცია „მზისა“-ს

**მისამართი: თბილისი, დ.უზნაძის 68, II სართული, ოთახი 13.**

---

თქვენ გნებავთ თავი გაარიდოთ პაპანაქება სიცხეს?
თქვენ გნებავთ იყოთ თბილისში და თავი იგრძნოთ კურორტზე?

სუფთა ჰაერი, ტყე-პარკი, კოტეჯები, კაფე-სასადილო, ჰოკოს დარბაზი, თავის თვისებით განთქმული გოგირდოვანი აბანო, კეთილმოწყობილი პლიაჟი და სპორტული მოედნები, ბილიარდი, ათლეტური კლუბი, წყლის ველოსიპედები, ნავები და ყველაფერი ის, რაც საჭიროა ადამიანის სულიერი და ფიზიკური დასვენებისათვის.

ფირმა **„ჰუჯაბი“** გეპატიჟებათ **ლისის ტბაზე.**

იჩქარეთ! ტურისტულ ბანაკში სულ 100 ადგილია!

ცნობებისა და საქმიანი წინადადებისათვის დარეკეთ: **39-41-74, 39-45-92.**

---

გამოთვლითი ტექნიკის და ინფორმატიკის საქართველოს სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების თბილისის სამეცნიერო-სასწავლო ცენტრი აცხადებს **აბიტურიენტების მიღებას ერთთვიან** მოსამზადებელ კურსებზე **ინფორმატიკაში** ა. წ. 15 ივნისიდან.

**მისამართი: თბილისი, აკ. წერეთლის პროსპ. 130.**
**ტელ: 35-29-42 ან 35-17-31**

---


ახალგაზრდა ივერიელი

Общественно-политическая газета

ტელეფონები: მისაღები — 98-97-31;
პასუხისმგებელი მდივანი — 98-31-56;
წერილების განყოფილება — 99-00-49.

გაზეთი გამოდის კვირაში სამჯერ სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს უკან არ უბრუნდებათ.

რედაქტორი
მერაბ ბალარჯიშვილი

საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლოს“ სტამბა თბილისი, მ. კოსტავას 14, იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში ხოშარაულის 29.
1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15.
НАШ ИНДЕКС 66400

რედაქციის მისამართია
ქ. თბილისი — 380096
მ. კოსტავას ქ. № 14.